ჩაძირული ტანკერიდან ნავთობი ჟონავს A3

ორშაბათამდე საქართველო ბნელში დარჩება A4

კვირის ფოტოკონკურსში გამარჯვებული B4

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

კვირა, 1 დეკემბერი, 2002 წელი. №182

ფასი 50 თეთრი

## უცხოეთი

### ირლანდიელები და ინგლისელები საბოლოო შერიგებისაკენ მიდიან

"ირლანდიის რესპუბლიკური არმია" ისტორიული გადაწყვეტილების მიღებას აპირებს, – იუწყება ბრიტანული პრესა. მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ტერორისტული ორგანიზაცია სულ მალე განაცხადებს იმის შესახებ, რომ ბრიტანეთთან ომი დასრულდა.

A3

## ეკონომიკა

### სახელმწიფო სტრუქტურები ფულს უკონტროლოდ და არაეფექტურად ხარჯავენ

ხარჯების გაწევისას შესაბამისი კანონმდებლობის დარღვევა, აღურიცხაობა, თანხების მოძრაობაზე კონტროლის სისუსტე და ხარჯების არაეფექტურობა – ეს ის დარღვევებია, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაცია "ტრანსპარანს ინტერნეიშენალმა" განათლების სამინისტროს, ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტისა და საგზაო ფონდის მიერ შარშან გაწეული ხარჯების მონიტორინგის შედეგად გამოავლინა.

A4

## სამართალი

### 63 წლის პატიმარმა თავდაყირა დგომაში რეკორდი დაამყარა

საქართველოს სხვადასხვა ციხეებში, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა დანაშაულისთვის შალვა იმნაძის მიერ გატარებული 30 წელიწადი სარეკორდო სულაც არ გახლავთ. შვიდჯერ ნასამართლევმა 63 წლის პატიმარმა გუშინ სხვა სფეროში გამოიჩინა თავი – იგი ორ საათზე მეტხანს იდგა თავდაყირა.

A4

### ძებნილი რესტორან „ნიკალაში" საუზმობდა

სიგარეტის ბიზნესითა და სასამართლო ბატალიებით ცნობილ ელიზბარაშვილების ოჯახს კვლავ სამართალდამცველ ორგანოებთან მოუწევთ საქმის დაჭერა. გუშინ პოლიციამ წელიწადნახევრის ძებნის შემდეგ დააკავა ფირმა "ელიზის" პრეზიდენტის თამაზ ელიზბარაშვილის ვაჟი გურამ ელიზბარაშვილი, რომელზეც განზრახ მკვლელობის ბრალდებით ძებნა იყო გამოცხადებული.

A4

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 9 | |
| ქუთაისი | 16 | |
| ბათუმი | 18 | |
| სოხუმი | 12 | |
| ფოთი | 17 | |
| თელავი | 6 | |
| ზუგდიდი | 16 | |
| გორი | 7 | |
| ახმეტა | 6 | |
| ჭიათურა | 11 | |
| გაგრა | 11 | |
| სამტრედია | 16 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1650 |
| ევრო | 2.1509 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3723 |
| რუბლი | 0.0680 |

# საბურთალოელებს მაჟორიტარი დეპუტატი არ ეყოლებათ



ლევან ხერხეულიძის ფოტო

წინა არჩევნებისგან განსხვავებით, პოლიცია გუშინ უქმად იყო.

*გუშინ საბურთალოსა და რუსთავის მოსახლეობამ საკუთარი მაჟორიტარი დეპუტატები ვერ აირჩია. უკვე საღამოს 9 საათისთვის ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ორივე რაიონში არჩევნები ჩაიშალა. ცალკე - საარჩევნო სიებთან დაკავშირებულმა პრობლემებმა და ცალკე - ამომრჩეველთა პასიურობამ ორივე რაიონი მაჟორიტარი დეპუტატის გარეშე დატოვა. ეს კი ნიშნავს, რომ მომავალ საპარალამენტო არჩევნებამდე ამ რაიონების მოსახლეობას პარლამენტში საკუთარი წარმომადგენლები არ ეყოლება, რადგან საარჩევნო კოდექსი ასეთ შემთხვევაში განმეორებით არჩევნებს არ ითვალისწინებს.*

თამარ მჭედლიშვილი

საბურთალოს მოსახლეობის პასიურობა ამ არჩევნების ყველაზე დიდი მოულოდნელობა აღმოჩნდა. მართალია, საარჩევნო სიები აბსოლუტურად მოუწესრიგებელი, გადაუმოწმებელი და გაბერილი იყო, მაგრამ ამომრჩეველთა აქტიურობას ნამდვილად შეეძლო, საერთო სურათი მაინც შეეცვალა. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა.

საბურთალოში გუშინდელი არჩევნების ოფიციალური სურათი ასეთია: საოლქო საარჩევნო კომისიის მონაცემებით (რომელიც მედიას საარჩევნო უბნებიდან მოსული მონაცემების დაჯამების შემდეგ მოაწოდეს), რაიონში 74 579 ამომრჩეველია.

გაგრძელება A2 გვერდზე

## კანდიდატები დეპუტატობას არ იმსახურებენ - ასეთია რუსთაველთა არჩევანი

*30 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებს რუსთავში ყველაზე ანტიხალხური არჩევნები შეიძლება ეწოდოს. რუსთაველებმა ამ ინსტიტუტს ფაქტიურად ბოიკოტი გამოუცხადეს და 54 საუბნო კომისიის შენობები მთელი დღის განმავლობაში, ფაქტიურად, ცარიელი იყო. ყველა ერთხმად ადასტურებდა, რომ ასეთი დაბალი აქტივობა რუსთავში აქამდე არ დაფიქსირებულა.*

გუშინ რუსთავში მთელი დღის მანძილზე შუქი არ გამორთულა, ალბათ, მოსახლეობის პასიურობის ერთ-ერთი მიზეზი ესეც გახლდათ - დენს დანატრებული ხალხი ქუჩაში აღარ გამოვიდა და ამ სიკეთით დატკბობა გადაწყვიტა. ქალაქის ქუჩებში უქმე დღისათვის დამახასიათებელი სიცარიელე იყო.

რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის მონაცემებით, დღის ორი საათისათვის 70 649 ამომრჩევლიდან საარჩევნო უბნებზე მხოლოდ 7000 ანუ 10% იყო მისული. 16 საათისათვის უბნებზე მისულ ამომრჩეველთა რიცხვი 9600-მდე ავიდა (12-13%). უბნის თავმჯდომარეები აცხადებდნენ, რომ საღამოს აქტივობა გაიზრდებოდა, თუმცა ეს ასე არ მომხდარა.

არჩევნების პროცესს თვალყურს ადევნებდნენ "სამართლიანი არჩევნებისა" და "ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის" წარმომადგენლები. "სამართლიანი არჩევნების" კოორდინატორის მონაცემებით 20 საათისათვის, მაგალითად, მე-16 უბანზე 1632 ამომრჩევლიდან მხოლოდ 100 იყო მისული, მე-2 უბანზე 1199-დან 471, 37-ე უბანზე 898-დან 51 და ასე შემდეგ. ხალხმრავლობით მხოლოდ ორი უბანი გამოირჩეოდა მე-10 და მე-11, სადაც ამომრჩევლის თითქმის 90 პროცენტი მივიდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# „ბრიტიშ პეტროლიუმმა" ბოდიში მოიხადა და უკან დაიხია

## ნავთობსადენის მარშრუტში ცვლილებები შევა

გიორგი გახელაძე

*დღეს ნაშუადღევს "ბრიტიშ პეტროლიუმი" მიიღებს გარემოსდაცვითი ნებართვისა და მისი თანმხლები სავალდებულო პირობების სრულ ტექსტს როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე. თუნდაც მცირერიცხოვანი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის ძალისხმევამ აქამდე გაუთვალისწინებელ საზოგადოებრივ აზრს ძალა შემატა. ეს აისახა გარემოს დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობასა თუ ქართველ ექსპერტებზე და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მარშრუტმა საქართველოს ტერიტორიაზე ცვლილებები უკვე განიცადა წალკისა და ქცია-ტაბაწყურის მონაკვეთზე. ბორჯომის ხეობაზე არანაკლები მნიშვნელობის მტკნარი წლის მიწისქვეშა რეზერვუარებს მილსადენი საფრთხეს აღარ შეუქმნის. მთელი კვირის განმავლობაში მძაფრი განსჯის თემა – ბორჯომის ხეობის ეკოსისტემის შენარჩუნება, სავალდებულო პირობების თანახმად, თითქმის მოგვარებულია.*

გაგრძელება A3 გვერდზე



გოგიტა ბახაიძის ფოტო

გია ჭანტურია და დევიდ ვუდვორდი.

## სამტრედიელებს ასეთი არჩევნები არ ახსოვთ

სოფო ბუკია

სამტრედიადან

*არჩევნები სამტრედიაში შედგა. სამტრედიელებს არჩევანი "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთ ლიდერს, ზვიად ძიძიგურსა და რკინიგზის ადგილობრივი პოლიციის მეექვსე განყოფილების ყოფილ შეფს, "მრეწველ" ავთანდილ თევზაძეს შორის უნდა გაეკეთებინათ. არც ერთი წინა არჩევნების დროს სამტრედიელებს ასეთი მდგომარეობა არ ახსოვთ. ქალაქს არა მარტო სამტრედიის, არამედ მთელი იმერეთის ძალოვნები საგანგებოდ იცავდნენ. აქ იყო შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ხაჟალია, რომელმაც ბრძანება გასცა, რომ თევზაძის საარჩევნო შტაბის მიმდებარე ტერიტორია (აქვეა საოლქო საარჩევნო კომისიაც) ავტომანქანებისგან გაწმენდილიყო. "ვერ გაგვიგია, რა ხდება - არჩევნებია თუ ომი იწყება?" - უკვირდათ სამტრედიელებს.*

**"ეს არჩევნები არ არის ზვიად ძიძიგურისა და ავთანდილ თევზაძის დაპირისპირება. 30 ნოემბერს ერთმანეთს, ერთის მხრივ, ხელისუფლება და შევარდნაძე, მეორეს მხრივ კი "ნაციონალური მოძრაობა" და სააკაშვილი დაუპირისპირდნენ",** - აცხადებს ძიძიგური.

ავთანდილ თევზაძემ მთელი დღის განმავლობაში ჟურნალისტებთან სასაუბროდ ვერ მოიცალა. "24 საათთან" საუბარი მან საერთოდ არ ისურვა. **"არა მგონია, თქვენ ჩემზე**

გაგრძელება A2 გვერდზე

## დათო შენგელიას უცნაური "ნადავლი"

პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი დათო შენგელია აცხადებს, რომ "ალ ქაიდას" რვა წევრი ჰყავს დაკავებული.შენგელიას ინფორმაციით, მის მიერ დაკავებული პირები ეთნიკური სომხები არიან და ბაგრამიანის ბატალიონში ირიცხებიან. ერთ-ერთი მათგანი მართლაც აღიარებს, რომ "ალ ქაიდასთან" აქვს კავშირი. დაკავებულები გუდაუთიდან მოდიოდნენ. მათ იარაღი არ ჰქონდათ, მაგრამ აღმოაჩნდათ მნიშვნელოვანი საბუთები - ყალბი პასპორტები, კონტრაქტები, რომლებიც ადასტურებდა რომელიღაც სამხედრო დაჯგუფებაში მათ ყოფნას. აღნიშნული პირები ადრე რუსეთის არმიაში მსახურობდნენ. დავით შენგელიას თქმით, დაკავებულებს ის თავად დაჰკითხავს და მხოლოდ ამის შემდეგ გადასცემს სამართალდამცავებს.

*"24 საათი"*

## დაკავებულია მძარცველთა ჯგუფი

თამარ კაციტაძე

**"27 ნოემბერს, ღამით რამდენიმე საავადმყოფოდან შეტყობინება შემოვიდა – შემოყვანილები არიან ნაცემი, სხეულის სხვადასხვა მძიმე დაზიანების მქონე მოქალაქეები: დავით ბაიაშვილი, ჰამლეტ სალუქვაძე, რევაზ კობაიძე და თენგიზ დეკანოსიძე. შინაგან საქმეთა ორგანოების ოპერატიული ჯგუფი სიგნალის მიღებისთანავე გავიდა დასახელებულ საავადმყოფოებში და დაზარალებულებს ახსნა-განმარტებები ჩამოართვა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, დამნაშავეთა ჯგუფი, რომელიც დაახლოებით ვაგზლის მოედნის მიმდებარე ქუჩებსა და კვარტლებში მოქმედებდა,**

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 პოლიტიკა A3 უცხოეთი A4 ეკონომიკა A4 სამართალი

B1 სპორტი B2 კულტურა B3 განცხადებები B4 სხვადასხვა

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორი გია ჯიქია ადასტურებს, რომ "კომანდოს" ბატალიონიდან გაქცეული კაპრალი გიორგი შეყილაშვილი, რომელმაც სამშაბათს თვითნებურად დატოვა კრწანისის სასწავლო ცენტრი, შაბათს სამხედრო პროკურატურაში გამოცხადდა.

როგორც პრაიმ-ნიუსს მთავარმა სამხედრო პროკურორმა გია ჯიქიამ უთხრა, კაპრალმა უკვე დაწერა ახსნა-განმარტება ბატალიონის თვითნებურად დატოვების მიზეზების თაობაზე.

მისი თქმით, გიორგი შეყილაშვილი, რომელიც უკვე დაბრუნდა სამხედრო ნაწილში, ამ ქმედებას "პირადი პრობლემით" ხსნის და უარყოფს ვერსიას თითქოს, მას რაიმე სახის კონფლიქტი ჰქონდა ბატალიონში.

შეყილაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრული არ არის, რადგან სისხლის სამართლის კოდექსის 388-ე მუხლის თანახმად "სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო ნაწილის თვითნებურად მიტოვების შესახებ", გამოძიების დაწყებისათვის გაქცევის მომენტიდან 10 დღე უნდა გავიდეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში სააქციო საზოგადოება "საქგაზის" ფუნქციონირების "არახელსაყრელ პირობებს" შეეხება საუბარი "საქგაზის" გენერალური დირექტორის ლეონიდ დეიკალოს შეხვედრაზე საერთაშორისო კომპანიათა ჯგუფ "იტერას" გამგეობის თავმჯდომარესთან იგორ მაკაროვთან, რომელიც ამერიკელ კონგრესმენთა ჯგუფთან ერთად ორშაბათს ჩამოდის თბილისში.

როგორც, პრაიმ-ნიუსს უთხრა ლეონიდ დეიკალომ, სამთავრობო წრეებიდან "საქგაზის" მიმართ "გაუგებარი ბრალდებები" გაისმის, მაშინ როდესაც ქართული მხარის მიზეზით "საქგაზთან" ურთიერთობებში საქართველოს კანონმდებლობა ირღვევა.

"საქგაზის" აქციების 100 პროცენტს "იტერა" ფლობს, რომელიც საქართველოში ბუნებრივი აირის ექსკლუზიური მომწოდებელია, ამასთან "საქგაზს" საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში 12 შვილობილი კომპანია გააჩნია, საიდანაც 10 გაზის დისტრიბუციას ახორციელებს.

პრაიმ-ნიუსთან საუბარში საქართველოში "იტერას" წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა თამაზ პატარიძემ განმარტა, რომ "იტერას" მოსკოვის განყოფილება ამერიკული "იტერა ინეტერნეიშელ ენერჯი კორპორეიშენის" ერთ-ერთი განშტოებაა, ამდენად ამერიკელ კონგრესმენებთან ერთად თბილისში ჩამომსვლელ ამერიკაში მოღვაწე ბიზნესმენთა ჯგუფში იგორ მაკაროვის ყოფნა "ბუნებრივია".

მისი აზრით, ეს ფაქტი გარკვეულწილად შეცვლის პოლიტიკურ წრეებში "იტერას" მიმართ მცდარ შეხედულებებს.

ზოგიერთი პოლიტიკური ჯგუფი საქართველოში "იტერას" საქმიანობას პოლიტიკური სარჩულით განიხილავს. მათ მიაჩნიათ, რომ რუსეთის ხელისუფლება "იტერას" ეკონომიკურ რესურსებს საქართველოზე პოლიტიკური ზემოქმედების ინსტრუმენტად იყენებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ჯონი ფირცხალაიშვილი შაბათს ბრიუსელში გაემგზავრა, სადაც 2-3 დეკემბერს მონაწილეობას მიიღებს ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების გენშტაბების ხელმძღვანელთა ყოველწლიურ შეხვედრაში.

პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში ჯონი ფირცხალაიშვილმა თქვა, რომ მას შემდეგ, რაც 22 ნოემბერს პრაღაში გამართულ ნატოს სამიტზე პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს ნატოში გაწევრიანების სურვილის შესახებ განაცხადა, ბრიუსელის შეხვედრას თბილისში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ჯონი ფირცხალაიშვილი შეხვედრაზე მოხსენებით გამოვა, რომელშიც ქართული არმიის რეფორმირებასა და დასავლეთთან კონტაქტების განვითარებაზე ისაუბრებს.

ქართული გენშტაბის უფროსი მოლაპარაკებებს გამართავს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მაღალჩინოსან წარმომადგენლებთან, თურქ, უკრაინელ და ბულგარელ კოლეგებთან.

იმ შემთხვევაში, თუ ბრიუსელის სამიტში მონაწილეობას მიიღებს რუსეთის გენშტაბის უფროსი ანატოლი კვაშნინი, არსებობს მასთან შეხვედრის დაინტერესებაც, მაგრამ მხოლოდ ორმხრივი სურვილის შემთხვევაში, უთხრა პრაიმ-ნიუსს ჯონი ფირცხალაიშვილმა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი ორშაბათიდან დაიწყება. ეს განცხადება "ინტერ-პრესთან" საუბარში სახელმწიფო კანცელარიაში ენერგეტიკულ საკითხებზე გამართული თათბირის დასრულების შემდეგ სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ გააკეთა.

"საქრუსენერგოს" ხელმძღვანელის შოთა მაისურაძის განცხადებით, "კავკასიონის" მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის ტექნიკური სისტემა მზად არის რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის დასაწყებად. მისი თქმით, მოსაგვარებელია მხოლოდ ფორმალური მხარეები.

როგორც სახელმწიფო მინისტრთან გამართულ დღევანდელ თათბირზე ითქვა, მე-9 ენერგობლოკი სავარაუდოდ მომავალი კვირიდან ამუშავდება. ამ დროისათვის საქართველოს ენერგოსისტემა დეფიციტურ რეჟიმში მუშაობს. "საქგენერაცია" 890 მეგავატ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს, აქედან თბილისს 370 მეგავატი ელექტროენერგია მიეწოდება, რომელიც დედაქალაქის 80 პროცენტისათვის არის მხოლოდ საკმარისი.

როგორც ენერგეტიკოსები აცხადებენ, ელექტროენერგიის მიწოდების პრობლემა ამ შაბათ-კვირას არ მოგვარდება და დეფიციტის აღმოფხვრა მხოლოდ ორშაბათისთვის არის მოსალოდნელი.

თათბირზე ითქვა, რომ სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი შესაძლოა ორშაბათიდან დაიწყოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსი სამშვიდობოების სარდალი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში კოდორის ხეობის ზედა ნაწილში დამატებითი საგუშაგოს გახსნას ითხოვს. როგორც კავკას-პრესს გენერალმა ალექსანდრე ევტეევმა განუცხადა, დამკვირვებელთა პოსტის გახსნა კოდორის ხეობის ზედა ნაწილში აუცილებელია ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოებისათვის, ასევე კოდორის ხეობაში არსებული ვითარების ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე სამშვიდობოებმა 81 ადამიანის სახით კოდორის ხეობაში დესანტი გადმოსხეს. ისინი ადგილობრივი მოსახოლეობის მიერ შექმნილი 100 კაციანი რაზმის მხრიდან ალყაში მოექცნენ. სისხლისღვრის თავიდან აცილება შეაძლებელი გახდა ხეობაში პრეზიდენტის გადაფრენის შედეგად. რუს კოლეგასთან კონსულტაციების შემდეგ დესანტი გაყვანილი იქნა. ამ დროისათვის კოდორის ხეობის ზედა ნაწილი ყოველკვირეულად მოწმდება გაერო-ს სამხედრო დამკივრვებლების პატრულის მიერ.

თუმცა, ეს ვითარება არ აწყობს რუს გენერალს. მან შესთავაზა ქართულ მხარეს შეიქმნას სამშვიდობოებისა და სამხედრო დამკივრვებლების ერთობლივი პოსტი. "ერთობლივი პოსტის შექმნა ხეობაში ვითარების ეფექტურად გაკონტროლების შესაძლებლობას მოგვცემდა" - თვლის ევტეევი და აცხადებს, რომ ქართული მხარე შემხვედრ ნაბიჯებს არ დგამს, ვინაიდან თვლის მას არამიზანშეწონილად. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახური გალის რაიონის ადმინისტრაციულ შენობაში მომხდარ აფეთქებაზე პასუხისმგებლობას ქართულ სპეცსამსახურებს აკისრებს. უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილემ სერგეი ცარგუშმა განაცხადა, რომ "ეს ინცინდენტი ტერორისტული აქტია, რომელიც მიმართულია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დესტაბილიზაციისაკენ".

დაუდგენელი ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც შენობის პირველ სართულზე, კიბის ქვეშ იყო დამონტაჟებული, გუშინ 12:10 საათზე აფეთქდა. შედეგად, ადმინისტრაციის ერთი თანამშრომელი დაშავდა. სერიოზულად არის დაზიანებული შენობის პირველი სართული.

ცარგუშის თქმით, მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. დადგენილია, რომ ასაფეთქებელი ნივთიერება ერთ კილოგრამამდე ტროტილის ექვივალენტ ნივთიერებას შეიცავდა. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** "მომავალი წლიდან საქართველოს ევროსასამართლოში პროცესების ნორმალურად წარმართვის პრობლემება არ ექნება," - განაცხადა "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" აღმასრულებელმა დირექტორმა ლია მუხაშავრიამ, პროგრამის "პრაქტიკული ტრეინინგები ქართველი ადვოკატებისათვის" მე-3 სესიის დასრულების შემდეგ.

მისი ინფორმაციით, 2002 წლის აპრილში საქართველოში პირველად დაიწყო ამ პროგრამის განხორციელება, რომელშიც ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოღვაწე 20 ადვოკატი მონაწილეობს. პროგრამა 2003 წლის აპრილში დასრულდება. ამ ხნის მანძილზე 5 სესია გაიმართება, რომლებიც, თავის მხრივ, 5-5 დღეს მოიცავს. პროგრამაში მონაწილეობისათვის აუცილებელია, ადკოკატს ჰქონდეს პრაქტიკა და წარმოადგენდეს არასამთავრობო ორგანიზაციას.

როგორც მუხაშავრიამ განაცხადა, სესიების დროს უცხოელი ექსპერტები ადვოკატებს უტარებენ სწავლებებს ცალკეულ მუხლებზე ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. "ადვოკატებს ასწავლიან, როგორ გაასაჩივრონ საქმე ევროსასამართლოში, როგორ მოამზადონ დოკუმენტები სასამართლო პროცესისათვის და სხვა აუცილებელ საკითხებს," - აღნიშნა მან.

მუხაშავრიას განცხადებით, პროგრამის განხორციელებაში მათ დახმარებას უწევენ ბრიტანული ორგანიზაცია "International Rights", რომელიც სესიებს ექსპერტებითა და შესაბამისი სასამართლო მასალებით უზრუნველყოფს, ასევე ნიდერლანდების ჰელსინკის კომიტეტი, რომელიც პროგრამის მთავარი ორგანიზატორია. ფინანსურად პროგრამას სოროსის კონსტიტუციისა და სამართლებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი და ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** ციხის საავადმყოფოში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად ამოღებულია ხელყუმბარა, პისტოლეტი, სხვადასხვა სახის რკინის ნივთები, დანები, საჩხვლეტები. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის პაატა მხეიძის განცხადებით, სულ ოპერაციაში მონაწილეობას იღებდა 100-კაციანი ჯგუფი.

მისი თქმით, ე.წ. "ლიმონკა" და "მაკაროვის" სისტემის იარაღი ტუალეტიდან ამოიღეს. აღსანიშნავია, რომ ეს იარაღი დიდი ხნის უკან იყო შენიღბულად შენახული. ოპერაცია ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის საფუძველზე ჩატარდა.

პაატა მხეიძე აცხადებს, რომ მსგავს ღონისძიებებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი მომავალშიც ჩაატარებს. "დამნაშავეთა სამყარომ ჩვენ თეთრი ხელთათმანი გვესროლა და გამოგვიწვია. შესაბამისად, ბრძოლა იქნება პრინციპული," - დასძინა მან. **"კავკას-პრესი"**

# საბურთალოელებს მაჟორიტარი დეპუტატი არ ეყოლებათ

პირველი გვერდიდან

**კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო, დაახლოებით, 16400-მა ამომრჩეველმა, რაც საერთო რაოდენობის 22 პროცენტს შეადგენს.** არადა, არჩევნების ჩასატარებლად ამომრჩეველთა ერთი მესამედის მონაწილეობა იყო საჭირო.

განსხვავებული მონაცემები გამოაქვეყნა "სამართლიანმა არჩევნებმა", რომელიც მთელი დღის მანძილზე არჩევნების მონიტორინგს ახორციელებდა. საღამოს რვის ნახევრისთვის, ორგანიზაციის ხელთ არსებული ინფორმაციით, საბურთალოში საარჩევნო უბნებში ამომრჩეველთა მხოლოდ 27 პროცენტი იყო მისული. ასე რომ, "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლებიც კი იძულებულები არიან, აღიარონ, რომ არჩევნები ჩაიშალა.

პირველ რიგში, არჩევნების ჩაშლის მიზეზი გაბერილი სიებია. საბურთალოს გამგეობის ხელდასმით, საოლქო კომისიისთვის გადაცემული მონაცემები არასწორი და მცდარი აღმოჩნდა. უბანზე ხმის მისაცემად მისული ამომრჩეველი საუბნო კომისიებს დამატებით სიებში შეყავდათ, რითიც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იზრდებოდა და შესაბამისად, არჩევნებზე მისულ ამომრჩეველთა პროცენტული მაჩვენებელი, საერთო რაოდენობასთან შეფარდებით კლებულობდა.

კონკურენტი პარტიები მოუწესრიგებელ სიებს ერთმანეთს აბრალებენ, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ქართული არჩევნების მუდმივმა თავსატეხმა – საარჩევნო სიებმა გუშინაც "დიდი წარმატებით" შეგვახსენა თავი.

**"ასეთი მოუწესრიგებელი სიები არც ერთ ქვეყანაში არ მინახავს. ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, როგორ მიმდინარეობს არჩევნები ასეთი სიებით. ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობა თქვენი ქვეყნის მთავრობას უნდა დაეკისროს",** – ასეთი ვერდიქტი გამოუტანა გუშინდელ არჩევნებს ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის წარმომადგენელმა მარკ მალენმა.

რაც შეეხება გუშინდელი საარჩევნო დღის დინამიკას:

"სამართლიანი არჩევნების" მონაცემებით, საბურთალოში დილის შვიდი საათისთვის თითქმის ყველა საარჩევნო უბანი ღია იყო. თუმცა, 12 საათისთვის უბნებზე ამომრჩეველთა მხოლოდ ოთხი პროცენტი გახლდათ მისული. დღის ორი საათისთვის ხმა უკვე 10 პროცენტს ჰქონდა მიცემული. საღამოს ექვსი საათისთვის ამ მაჩვენებელმა 23 პროცენტი შეადგინა, თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, გუშინდელმა დღემ 33 პროცენტამდე ვერ მიაღწია.

რაც შეეხება დარღვევებს, იგი კვლავ და კვლავ საარჩევნო სიებს უკავშირდება. "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენელთა განცხადებით, გამორჩენილი იყო მთელი კორპუსები. განსაკუთრებით კომიკური გახლდათ სიტუაცია, რომელიც საბურთალოს 24-ე უბანზე შეიქმნა, სადაც ხმას ჯარისკაცები აძლევდნენ. სიაში შეყვანილი 37-ის ნაცვლად, ხმა 44-მა ჯარისკაცმა მისცა. როგორც გაირკვა, მათი ასაკი, დაახლოებით, 60 წლის ფარგლებში მერყეობდა.

გუშინდელ დღეს საარჩევნო "კარუსელების" გარეშე ნამდვილად არ ჩაუვლია. ყოველ შემთხვევაში, კონკურენტმა პარტიებმა ერთმანეთს რამდენიმე ავტობუსი აღმოუჩინეს, რომლითაც ამ "კარუსელების" მონაწილეები გადაადგილდებოდნენ.

ურთიერთბრალდებებმაც არ დააყოვნა. თემურ გოცაძის საარჩევნო შტაბმა გივი თარგამაძის საარჩევნო შტაბის წარმომადგენლები საარჩევნო უბნებზე "კარუსელის" მოწყობაში დაანაშაულა და განაცხადა, რომ **"საბურთალოს N27-ე საარჩევნო უბანზე გივი თარგამაძის მხარდამჭერებმა ლტოლვილის საბუთებით ათეულობით ამომრჩეველი მიიყვანეს".** ამასთან ერთად, "მოქალაქეები" ამტკიცებდნენ, რომ **"მე-3 საარჩევნო უბანზე გივი თარგამაძემ არჩევნების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე სააგიტაციო მასალა დაარიგა, რომელშიც იგი ამომრჩევლებს მოუწოდებდა, მათ რაიონში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ საკუთარი აზრი ჩაეწერათ და არჩევნების დღეს ბუკლეტები მისი წარმომადგენლებისთვის გადაეცათ".**

თავის მხრივ, 60-კაციან კარუსელზე საუბრობდნენ "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები. მათი მტკიცებით, **"კარუსელში მონაწილე ჯგუფის წევრების მონაცემები თითქმის ყველა უბნის საარჩევნო სიებში იყო შეტანილი".**

რაც შეეხება თავად უბნებზე შექმნილ ვითარებას; უნდა ითქვას, რომ იქ ისეთი სიმშვიდე სუფევდა, რომლის მოწმენი ბოლო ათი წელია, აღარ ვყოფილვართ. თითქმის არც ერთ უბანზე არ დაწერილა საჩივარი. საპროტესტო განცხადებები არ შესულა არც საოლქო საარჩევნო კომისიაში. უბნებზე თითოეულ ამომრჩეველს ლამის აპლოდისმენტებით ხვდებოდნენ და დეტალურ ინსტრუქტაჟს უტარებდნენ.

უბნებზე ამომრჩეველთა აქტიურობის ზრდას საღამოს 7 საათის შემდეგ ელოდნენ, მაგრამ ამაოდ. ჩვენს მიერ ამ პერიოდში მონახულებულ უბნებზე ერთი და იგივე სიტუაცია გვხვდებოდა – სიწყნარე და ამომრჩეველთა ლოდინი.

და ბოლოს: გუშინდელი დღე ნაკლებად იღბლიანი აღმოჩნდა "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერისთვის მიხეილ სააკაშვილისთვის, რომელიც თავად შეიქმნა გაყალბებული სიების მსხვერპლი. საქმე ის გახლავთ, რომ მან ხმა ვერ მისცა საკუთარი პარტიის კანდიდატს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მისი გვარი საარჩევნო სიებში არ აღმოჩნდა.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ბევრმა ამომრჩეველმა სიებში თავისი გვარი ვერ ნახა.*

# სამტრედიელებს ასეთი არჩევნები არ ახსოვთ

პირველი გვერდიდან

**რაიმე გაინტერესებდეთ. ვიცი, ეგ "რუსთავი-2"-ის გაზეთია და ისიც ვიცი, ვისი საკუთრება ხართ. ინტერვიუს არ მოგცემთ",** - გვითხრა თევზაძემ, რომელიც საღამოს ხუთი საათისთვის მობილურ ტელეფონზე უკვე მილოცვებს იღებდა და კარგ ხასიათზე იყო.

ავთანდილ თევზაძის მხარდასაჭერად საარჩევნო უბნებზე ირაკლი გოგავა, ზვიად მუკბანიანი და როზა ლორთქიფანიძე ირჯებოდნენ, მანამდე კი, როგორც გუშინ გაუწყეთ, სამტრედიას მინისტრები - ალექსანდრე კარტოზია და ამირან გამყრელიძე სტუმრობდნენ.

ზვიად ძიძიგურის პოზიციების გასამაგრებლად, "ნაციონალურმა მოძრაობამ" სამტრედიაში ბესო ჯუღელი, კობა დავითაშვილი და ლადო ჭიპაშვილი მიავლინა, დღის ბოლოს კი ქალაქში თავად "ნაციონალების" ლიდერი მიხეილ სააკაშვილიც გამოჩნდა. იგი ამ ფაქტს მწარე საარჩევნო გამოცდილებით ხსნის. **"მოვედი, რომ თავიდან ავიცილო ექსცესები. კარგად ვიცი "მოქალაქეთა კავშირის" საარჩევნო ხრიკები. მაქვს ინფორმაცია, რომ რამდენიმე საარჩევნო უბანში არეულობების მოწყობის მცდელობა იყო,"** - ასე ახსნა სამტრედიაში თავისი ჩასვლის მიზანი სააკაშვილმა.

თევზაძის მხარდასაჭერად ხელისუფლების დიდ ძალისხმევას სააკაშვილი ასე ხსნის: **" ხელისუფლებას მისი ძალიან ეშინია. ამიტომაც დაიწყეს სამტრედიაში მინისტრებმა და ძალოვნებმა მორიგეობა".**

საარჩევნო უბნებისკენ სამტრედიელები დილის რვა საათიდან დაიძრნენ. **"რამდენი ხანია, შვილო, შარვალ-კოსტუმი არ ჩამიცვამს. დღეს არჩევნებისთვის გამოვეწყე. ჩემი საქმე უკვე წასულია, ველარაფერს მოვესწრები, მაგრამ მინდა, ჩემმა შვილებმა და შვილიშვილებმა ნორმალურ ქვეყანაში იცხოვრონ,"** - გვითხრა სოფელ დიდი ჯიხაიშის მცხოვრებმა, 82 წლის გოგი კაკაბაძემ.

19 წლის ლაშა სტუდენტია და თბილისში სწავლობს. საარჩევნოდ ის სპეციალურად ჩამოვიდა სამტრედიაში. **"სტუდენტები ბევრნი ჩამოვედით. თევზაძემ ჩვენთვის სპეციალურად გამოგზავნა ავტობუსი და თბილისადან უფასოდ ჩამოგვიყვანა,"** - ამბობს ლაშა.

ქალბატონი თინა სოფელ საჯავახოში ცხოვრობს. არჩევნებზე ის გაყინული პენსიის დაბრუნების იმედმა მოიყვანა.

არჩევნები საქართველოში დარღვევების გარეშე ჯერ არ ჩატარებულა. გამონაკლისად არც სამტრედია იქცა. 26-ე უბანში "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენელმა თინათინ ჯაყელმა არაერთი დარღვევა აღმოაჩინა. **"გაოცებული ვარ. ამ ხალხმა საერთოდ არ იცის კანონი. პირადობის დამადასტურებელ საბუთებს არავინ ამოწმებს. როდესაც შენიშვნა მივეცი, მიპასუხეს, დიდი ჯიხაიში პატარა სოფელია და ყველას სახეზე ვიცნობთო,"** - აცხადებს ჯაყელი.

დარღვევები მე-12 უბანზეც დაფიქსირდა. ავადმყოფებისთვის განკუთვნილ საარჩევნო ყუთს "ნაციონალური მოძრაობის" არც ერთი წარმომადგენელი არ გაჰყოლია. როგორც გავარკვიეთ, ეს ყუთი 47 ავადმყოფი ამომრჩევლისთვის უნდა მიეტანათ სახლში. ინვალიდ ცოლ-ქმარს – გალინა და რეზო სტურუებს "24 საათი" სახლში ეწვია. გაირკვა, რომ საარჩევნო ურნა მათთან არ მიუტანიათ.

გუშინდელ არჩევნებში 23 ათასზე მეტმა ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 50 პროცენტს შეადგენს. არაოფიციალური ინფორმაციით, ავთანდილ თევზაძეს ეს არჩევნები, დაახლოებით, 80 ათასი დოლარი დაუჯდა. რაც შეეხება გამარჯვებულს, მისი ვინაობა ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

ღამის პირველი საათისთვის ცნობილი გახდა ხმის მიცემის წინასწარი შედეგები, რომლის მიხედვითაც, გაიმარჯვა ავთანდილ თევზაძემ.

# კანდიდატები დეპუტატობას არ იმსახურებენ - ასეთია რუსთაველთა არჩევანი

პირველი გვერდიდან

საოლქო კომისიას საღამომდე არც ერთი საჩივარი და განცხადება არ მიუღია. საღამოს ექვსი საათისათვის ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთი კანდიდატის, მგალობლიშვილის წარმომადგენელმა განცხადება შეიტანა და ორი არასამთავრობო ორგანიზაციის "საქართველოს დედათა კავშირისა" და "ხიდი 21-ე"-ს წარმომადგენლების უბნებიდან მოხსნა მოითხოვა. აღსანიშნავია, რომ მომჩივანს თავადაც ჰქონდა დარღვეული კოდექსის მოთხოვნა - განცხადებაზე არ იყო მითითებული მისი შედგენის დრო, თუმცა ამისათვის ყურადღება, ჟურნალისტების გარდა, არავის მიუქცევია. საკითხის განხილვა არსამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად კომისიაში საღამოს 8 საათამდე გაგრძელდა, ამასობაში მოვიდა ინფორმაცია, რომ მსჯელობას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან არა მარტო ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებს დაატოვებინეს უბნები, არამედ ყველა სხვა დანარჩენსაც.

საოლქო კომისიაში მომუშავე "სამართლიანი არჩევნების" კოორდინატორის რუსიკო ხორგუაშვილის განცხადებით, რვის ნახევრიდან მასთან რეკვა დაიწყეს დამკვირვებლებმა, რადგან ისინი უბნებიდან გამოყარეს.

"33-ე, 35-ე, 4-ე, 22-ე, 16-ე უბნებზე ჩვენი დამკვირვებლები გამოყარეს და ხმის დათვლას არ ასწრებენ. 22-ე უბანზე შუქია გამორთული. დაახლოებით 30 უბანზე სიტუაცია უმართავია. ამ დროს კი საოლქო კომისია არაფერს აკეთებს. ძალიან ბევრი საჩივარია დაწერილი. როგორც ჩანს, არ აწყობთ, რომ ნეიტრალურმა ორგანიზაციამ აკონტროლოს იქაურობა, ამიტომ უმიზეზოდ და უხეშად გამოყარეს ჩვენი და სხვა დამკვირვებლები უბნებიდან. მე-4 უბანზე უპრეცენდენტო შემთხვევაც დაფიქსირდა - ოფიციალურად, ყველას თვალწინ 200-300 ზედმეტი ბიულეტენია ჩაყრილი," - აცხადებს ხორგუაშვილი.

მეორე არასამთავრობო ორგანიზაციის "ენ-დი-აი"-ს წარმომადგენლის ირაკლი კუციას თქმით, დარღვევები უამრავიც იყო და უხეშიც.

-"სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებელთან მივიდნენ და შესთავაზეს, ჩაგვაყრევინეთ ბიულეტინებიო. მე-13 უბანზე პირადად ჩემთანაც ცდილობდა მურმან ომანიძის წარმომადგენელი გარიგებაში შემოსვლას – არჩევნები არ შედგება, ხალხი ცოტაა და 5-6 ბიულეტინი მაინც ჩაგვაგდებინეთო. უპრეცენდენტო რამ მოხდა იმავე უბანზე: საარჩევნო ყუთი საერთოდ არ გაუხსნიათ, ჰაერიდან შეადგინეს ციფრი და ოქმში ჩაწერეს," - განუცხადა "24 საათს" კუციამ.

გარიგების მცდელობებზე საუბრობდნენ ომანიძისა და ნარგიზ გვალიას შტაბებში. ამ უკანასკნელის მონაცემებით, მათი დამკვირვებლების გამოყრა უბნებიდან სწორედ გარიგებებზე არ წასვლის გამო დილიდანვე დაიწყო. ორივე კანდიდატის შტაბის მონაცემებით არჩევნები რუსთავში არ შედგა. მათი ვარაუდით, კენჭისყრაში მონაწილეობა დაახლოებით 7-10 პროცენტმა მიიღო. რადიკალურად საწინააღმდეგო მონაცემები აქვთ როლანდ მგალობლიშვილის შტაბში. იქ აცხადებენ, რომ არჩევნები შედგა და კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო არანაკლებ 25000-მა რუსთაველმა, რაც საერთო რაოდენობის 34 პროცენტს შეადგენს.

"სამართლიანი არჩევნებისა" და "ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის" სპეციალისტთა ვარაუდით, რუსთავის 30 ნოემბრის არჩევნები არ შედგა. "ენ-დი-აი"-ს წარმომადგენლის, ლორენ ჰოროშაკის თქმით, მათ მთელი დღის მანძილზე მიღებული საშუალო მაჩვენებლების დაანგარიშებით 13,5 პროცენტი მიიღეს. "ეს არ არის ზუსტი მონაცემი, მაგრამ ეს არის საორიენტაციო ციფრი, რომელიც, პრინციპში, ძალიან არ უნდა შეიცვალოს," - განუცხადა "24 საათს" ჰოროშაკმა. იგივე ციფრი - 13,4 პროცენტი მიიღო "სამართლიანი არჩევნების" მონიტორინგის ჯგუფმაც.

ღამის 12 საათისათვის რუსთავის მეოცე საოლქო საარჩევნო კომისიაში ჯერ კიდევ არ იყო შესული ყველა უბნის ოქმი. კომისიის თავმჯდომარის ავთანდილ კარანაძის განცხადებით, არჩევნების საბოლოო შედეგების დაზუსტება უახლოეს სამ დღეში შეუძლებელი იქნება, რადგან კომისიამ ჯერ შესული საჩივრები უნდა განიხილოს. რუსთავის არჩევნები ჩატარებულად არ გამოცხადდება ორ შემთხვევაში: თუ მასში ამომრჩეველთა 34 პროცენტზე ნაკლებმა მიიღო მონაწილეობა ან თუ საარჩევნო კომისიამ არჩევნების შედეგები ბათილად 10-ზე მეტ უბანზე სცნო.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

უცხოეთი

# მომბასას ტერაქტი - დამნაშავე კვლავაც უცნობია


კენია სხვათა ომში ბრძოლის ველად იქცა.

გამომძიებელთა აზრით, კენიაში მომხდარ ტერაქტში ორი შესაძლო დამნაშავე გამოიკვეთა - სომალიში მოქმედი ტერორისტული ორგანიზაცია "ალ იტიჰად ალ ისლამია" (ისლამური კავშირი) და "ალ ქაიდა."

ტერაქტის შემდეგ, ბევრმა თითი მაშინვე ბინ ლადენისკენ გაიშვირა. კენიელი დიპლომატები ამტკიცებდნენ, რომ, ჯერ ერთი, "ალ ქაიდა" საკმაოდ აქტიურია ამ ქვეყანაში (რასაც თუნდაც 1998 წელს მომხდარი ამერიკის საელჩოს აფეთქება მოწმობს) და თანაც, ერთდროულად რამდენიმე ტერაქტის განხორციელება სწორედ ამ ორგანიზაციის ხელწერაა (11 სექტემბერი ამის მაგალითია). კენიაში, სასტუმროს აფეთქების პარალელურად, ისრაელის სამოქალაქო თვითმფრინავს ორი "სტრელას" ტიპის რაკეტა ესროლეს. ჯერ-ჯერობით, რაიმე პირდაპირი სამხილის მოპოვება ვერ მოხერხდა, ამიტომ პრეზიდენტმა ბუშმა თავად სთხოვა ყველას, ნაჩქარევი დასკვნების გაკეთებას მოერიდონ. აშშ და ისრაელი უკვე ჩაერთვნენ მომხდარი ტრაგედიის გამოძიებაში.

რაც შეეხება "ისლამურ კავშირს", იგი, ძირითადად, სომალიში და ეთიოპიის სომალელებით დასახლებულ რეგიონებში საქმიანობს. მისი ძირითადი მიზანი ეთიოპიიდან სომალური ტერიტორიების გამოყოფა და იქ ისლამური სახელმწიფოს შექმნაა. ორგანიზაციამ "დიდების მწევრვალს" 90-იანი წლების დასაწყისში მიაღწია, როდესაც იგი აფრიკის კონცხზე ყველაზე ძლიერ სეპარატისტულ-ტერორისტულ ორგანიზაციად იქცა, თუმცა მოგვიანებით საკმაოდ დასუსტდა. ამბობენ, რომ მას კავშირი აქვს "ალ ქაიდასთან."

ადგილობრივმა პოლიციამ ტერაქტთან დაკავშირებით 12 კაცი დააკავა. აქედან ორი - ამერიკელი და ესპანელი - რამდენიმე საათში გაუშვეს. დაკავებული რჩება ექვსი პაკისტანელი და ოთხი სომალელი (ტანზანიიდან მომავალი პატარა გემის ეკიპაჟი), რომელთაც ჯერჯერობით ქვეყნის ტერიტორიაზე უკანონო შეღწევაში ედებათ ბრალი.

რაც შეეხება "პალესტინის ფრონტს", ორგანიზაციას, რომელმაც ტერაქტი თავის თავზე აიღო, მის შესახებ აქამდე არავის არაფერი სმენია. ამიტომაც ფიქრობენ, რომ მათი "აღიარების" სერიოზულად განხილვა არასწორი იქნება.

ტერაქტის ადგილზე მისულმა კენიის ვიცე-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა "სხვათა ომში ბრძოლის ველად იქცა". მომხდარი ტრაგედია მნიშვნელოვნად შეამცირებს ტურიზმს, რაც ქვეყნის შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყაროა. ქვეყნის პრეზიდენტის განცხადებით კი, უკვე ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ ტერორიზმი ყველას ემუქრება.

ზოგიერთი ადგილობრივი მუსულმანი სასულიერო პირის განცხადებით, ამგვარი ტერაქტები მანამდე გაგრძელდება, სანამ მსოფლიოში მუსულმანთა შევიწროებას ბოლო არ მოეღება.

# ჩაძირული ტანკერიდან ნავთობი ჟონავს

ეკოლოგიური კატასტროფა, რომელიც ტანკერ "პრესტიჟის" ჩაძირვამ გამოიწვია, სულ უფრო სახიფათო მასშტაბებს იძენს. ექსპერტების თქმით, ჯერჯერობით მართლდება ყველაზე პესიმისტური პროგნოზები. 3 კილომეტრის სიღრმეზე ჩაძირული ტანკერიდან ნავთობის გაჟონვა გრძელდება, გიგანტური შავი ლაქა კი ქარსა და დინებას ესპანეთის სანაპიროებისაკენ მიაქვს. გუშინ საღამოს ნავთობის ლაქა გალიციის ნაპირებიდან 20 კილომეტრის დაშორებით დრეიფობდა.

"პრესტიჟის" ჩაძირვის ადგილზე ინტენსიურად მუშაობენ მაშველები, რომლებიც ნავთობის ამოღებას ცდილობენ. თუმცა, საღეჭი რეზინის კონსისტენციის უზარმაზარი მასა მათ მცდელობებს ძნელად ემორჩილება. აქამდე მაშველებმა 2300 ტონა ნავთობის ამოღება შეძლეს, სულ კი ტანკერზე 77 ათასი ტონაა.

მაშველებმა სცადეს წყლის ზედაპირზე სპეციალური ბარიერების მოწყობა, რომელმაც ნავთობს ნაპირთან მიახლოების საშუალება არ უნდა მისცეს, მაგრამ შტორმმა ჯებირი უკვე ბევრ ადგილას გაარღვია. თევზაობა "სიკვდილის ნაპირებთან", სადაც მოხდა კატასტროფა, დიდი ხნით აიკრძალა. მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა როგორც ზღვის, ისე სანაპიროს ფლორასა და ფაუნას.

დღემდე გრძელდება კამათი იმის შესახებ, რამ გამოიწვია გემის ჩაძირვა. ექსპერტები მიუთითებენ იმაზე, რომ ხომალდს მხოლოდ ერთმაგი გარსი ჰქონდა, მაშინ, როდესაც თანამედროვე ტანკერებს ორმაგი უნდა ჰქონდეთ. ავარიის დროს ზღვაში ძლიერი შტორმი იყო. გემი ცალ მხარეს გადაფერდდა, კაპიტანმა გადაწყვიტა, წონასწორობის აღსადგენად მეორე მხარეს განლაგებული ცარიელი ავზები წყლით გაევსო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს გადაწყვეტილება საბედისწერო აღმოჩნდა.

"პრესტიჟის" გადასარჩენად მოსული ჰოლანდიური გემის - "სმიტის" კაპიტანმა ესპანეთის ხელისუფლებას სთხოვა, გემის ნაპირთან ახლოს მიყვანის ნება მიეცათ, სადაც წყნარ წყლებში გაჟონილი ნავთობის ლოკალიზებასაც შეძლებდნენ და ტანკერსაც შეაკეთებდნენ. ამის ნაცვლად, ხელისუფლებამ გემის ზღვაში კიდევ უფრო შორს გაყვანა მოითხოვა.

გამოძიების სხვადასხვა ვერსიების თანახმად, ეკიპაჟის გარდა, კატასტროფაში დამნაშავე არიან გემის ბერძენი პატრონები, გიბრალტარის საზღვაო ინსპექცია, რომელმაც ტანკერი ვარგისად სცნო, რუსული "ალფაჯგუფი", რომელსაც ეკუთვნოდა ნავთობი, ბედისწერა და ა.შ.

ევროკავშირის ხელისუფლება სასწრაფოდ ითხოვს წევრი ქვეყნებისაგან ევროპის წყლებში მოძველებული ტანკერების გამოყენების აკრძალვას. ესპანელი მეთევზეები კი, რომლებიც დიდი ხნით უმუშევრად დარჩნენ, კომპენსაციის სახით დღეში 30 ევროს იღებენ.

# ირლანდიელები და ინგლისელები საბოლოო შერიგებისაკენ მიდიან

"ირლანდიის რესპუბლიკური არმია" ისტორიული გადაწვეტილების მიღებას აპირებს, – იუწყება ბრიტანული პრესა. მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ტერორისტული ორგანიზაცია სულ მალე განაცხადებს იმის შესახებ, რომ ბრიტანეთთან ომი დასრულდა.

"ირა" არა მხოლოდ ტერაქტების განხორციელებაზე იტყვის უარს – ეს დიდი ხანია მოხდა – არამედ შეწყეტს მებრძოლთა მომზადებას, სადაზვერვო ოპერაციებს და ხელისუფლებას აცნობებს მის ხელთ არსებული ყველა იარაღის საწყობის შესახებ.

სამაგიეროდ, ყოფილი ტერორისტები მიიღებენ გარანტიას, რომ სტორმონტის (ჩრდილოეთ ირლანდიის მთავრობა) არჩევნები თავის დროზე ჩატარდება და ჩრდილო ირლანდიელი კათოლიკები, მათ შორის, "ირას" ყოფილი წევრებიც, მიიღებენ პოლიციაში სამსახურის უფლებას. ბევრ ყოფილ მებრძოლს ამნისტია შეეხება.

აღნიშნული ნაბიჯის გადადგმა, წყაროების თქმით, თებერვლისათვის იგეგმება და პრაქტიკულად, ხანგრძლივი და სისხლიანი ომის დასასრულს მოასწავებს. თუმცა, სკეპტიკოსების აზრით, შეიძლება ყველაფერი ასე მალე არც დასრულდეს.

ჩრდილოეთ ირლანდიის სამშვიდობო პროცესი, რომელსაც სათავე 1998 წელს, "წითელი პარასკევის შეთანხმებით" დაედო, ოთხი წელია, შეფერხებებით მიმდინარეობს. ამ წლების განმავლობაში "ირამ" განაცხადა ტერორისტული აქტების შეწყვეტის შესახებ, ირლანდიის რესპუბლიკამ უარი თქვა ჩრდილოეთ ირლანდიის მიმართ პრეტენზიაზე, სამაგიეროდ, ლონდონმა ოლსტერის მართვა თავად პროვინციას გადასცა. მმართველ "სტორმონტის მთავრობაში" კი ძველი მტრები - რესპუბლიკელები და იუნიონისტები შევიდნენ.

უთანხმოებების გამო, ერთიანი მთავრობის მუშაობა მრავალჯერ შეწყდა, თუმცა, საბოლოო ჯამში, ორივე მხარე "წითელი პარასკევის შეთანხმების" პრინციპების ერთგული დარჩა.

წელს, ოქტომბერში სამშვიდობო პროცესს სერიოზული საფრთხე დაემუქრა მაშინ, როდესაც აღმოჩნდა, რომ, დადებული პირობის მიუხედავად, "ირა" აგრძელებდა ყოფილ მოწინააღმდეგებზე ინფორმაციის შეგროვებას და ინარჩუნებდა ტერორისტული ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან ნაწილს.

რესპუბლიკელთა ვერაგობით აღშფოთებულმა იუნიონისტებმა (შეგახსენებთ, რომ რესპუბლიკელთა დიდი უმრავლესობა – კათოლიკეა, იუნიონისტები კი პროტესტანტები არიან და ჩრდილოეთ ირლანდიის დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩენას უჭერენ მხარს) დატოვეს ხელისუფლება და განაცხადეს, რომ მასში მხოლოდ იმ პირობით დაბრუნდებოდნენ, თუ "ირა" თვითლიკვიდაციას გამოაცხადებდა.

იუნიონისტების საბოტაჟის შემდეგ, სტორმონტმა მუშაობა შეწყვიტა და ჩრდილოეთ ირლანდიის მართვა უშუალოდ ლონდონის ხელში გადავიდა. შემდეგი არჩევნები ოლსტერში მაისისათვის არის დანიშნული. თუმცა, იუნიონისტები აცხადებენ, რომ მასში მონაწილეობის მიღებას არ აპირებენ.

საბოლოოდ, "შინ ფეინმა" ("ირას" პოლიტიკური ფრთა), როგორც ჩანს, კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღო. მან უარი თქვა თვითდაშლაზე, მაგრამ, პრაქტიკულად, მთელი გასამხედროებული ფუნქციები ჩამოიშორა.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1998 წელს "ირას" მოწყობილი ტერაქტები აზანზარებდა მთელ ბრიტანეთს და სამშვიდობო შეთანხმების მიღწევა მაშინ თითქმის შეუძლებელი ჩანდა. თუმცა, ორივე მხრიდან გამოვლენილმა პოლიტიკურმა ნებამ და გონივრულმა კომპრომისებმა ორი ერი შერიგებამდე მიიყვანა. ეს კი, სამწუხაროდ, ძალზე იშვიათად ხდება.

## მოკლედ

**ნიუ-იორკი.** ამიერიდან წყალი - ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა. შესაბამისი გადაწყვეტილება გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტმა 27 ნოემბერს მიიღო. ექსპერტების თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ მზარდ პრობლემას, რომელსაც უწყლობა წარმოადგენს დედამიწის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, დღეს 1,1 მილიარდ ადამიანს ხელი არ მიუწვდება სუფთა სასმელ წყალზე, ხოლო 2,4 მილიარდს არა აქვს კანალიზაცია. ჯანდაცვითი ორგანიზაციების მონაცემებით, უსუფთაო წყლით გამოწვეული დაავადებები - მალარია, ქოლერა, დიზინტერია და სხვა - ყოველწლიურად 3,5 მილიონი ადამიანის სიკვდილის მიზეზი ხდება.

გაეროს აღნიშნული გადაწყვეტილება, მართალია, მკაცრად არ ავალდებულებს მთავრობებს, დაუყოვნებლივ უზრუნველყონ სუფთა წყლით თავიანთი მოსახლეობა, მაგრამ საშუალებას აძლევს სხვადასხვა ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებას უფრო დაბეჯითებით მოითხოვოს თავიანთი მთავრობებისაგან ადამიანის ამ ფუძემდებლური უფლების – ხელმისაწვდომი სუფთა წყლის პატივისცემა.

■ ■ ■

**რუსეთი.** ტრაგედია მოხდა საქართველო-რუსეთის საზღვრის სიახლოვეს განლაგებულ ფედერალურ სასაზღვრო ნაწილში. რიგითმა დენის სოლოვიოვმა, რომელიც, სავარაუდოდ, ნარკოტიკული ნივთიერების ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა, თავისი თანამებრძოლები დაცხრილა. სროლის შედეგად, რომელიც სამხედრო კარავში მოხდა, დაიღუპა 6 და დაიჭრა 5 ჯარისკაცი. დაუზუსტებელი ინფორმაციით, დაჭრილთაგან კიდევ ორი გარდაიცვალა. წინასწარი ცნობებით, რომელიც ოფიციალურმა წყაროებმა შემდეგ უარყვეს, ტრაგედიის მიზეზად რუსეთის არმიაში ფართოდ გავრცელებული "დედოვშჩინა" იქცა.

# „ბრიტიშ პეტროლიუმმა" ბოდიში მოიხადა და უკან დაიხია

პირველი გვერდიდან

*"ბრიტიშ პეტროლიუმი" ვალდებულია, მოცემულ მონაკვეთზე საბოლოო მარშრუტის დამტკიცებამდე, გარემოს უშიშროების თვალსაზრისით ყველაზე უფრო მისაღები ალტერნატივის გამოსავლენად შეისწავლოს არანაკლებ ორი ალტერნატივა: ე.წ. "ცენტრალური დერეფანი", რომლის ნაწილიც კვეთს ახალქალაქის რაიონს და ე.წ. "ყარაყაიას მარშრუტი". აქამდე ეს ალტერნატივები არ იყო საკმარისად შესწავლილიც კი. "ბიპის", ახალი პირობებით, ისეთივე სიღრმითა და მასშტაბით მოუწევს ამ მარშრუტების განხილვა და წარდგენა, როგორც აქამდე შემოთავაზებული ერთი მარშრუტის.*

*საქართველომ დაგვიანებით, მაგრამ მაინც მოახერხა საკუთარი სახელმწიფო ინტერესების დაცვა. ამასთან, არც ერთი შეთანხმებული ვადა არ დარღვეულა და საქართველოსთვის მართლაც უდიდესი მნიშვნელობის პროექტის განხორციელებას ხელი არ ეშლება. ნავთობსადენის გეოპოლიტიკურ და სტრატეგიულ მნიშვნელობაზე კი, იმის მიუხედავად, სხვადასხვა ძალებმა როგორი "პოლიტიკური ინტერპრეტაციაც" არ უნდა მოუძებნონ ამ საკითხს, არც არავის უდავია.*

■ ■ ■

30 ნოემბერს, დღის 12 საათიდან შუაღამემდე გარემოსა და ბუნებრივი დაცვის სამინისტროში კონსულტაციები შეუსვენებლივ მიმდინარეობდა. როგორც ვიუწყებოდით, ზეწოლა გარემოს დაცვის სამინისტროზე არ შემწყდარა. გარემოს დაცვის მინისტრს ნინო ჩხობაძესა და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტს გია ჭანტურიას პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ორჯერ დაურეკა. საუბრების შინაარსი არ გახმოვანებულა, თუმცა ისინი ხანგრძლივები იყო.

სამინისტროში საკონსულტაციო სხდომაზე მისულ დევიდ ვუდვორდს (ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის ხელმძღვანელს), ედი ჯონსონს ("ბიპის" საქართველოს ოფისის ხელმძღვანელს), მათ პარტნიორ გია ჭანტურიასა და თანმხლებ პირებს ერთი სული ჰქონდათ, როდის გაეცნობოდნენ ნებართვის ტექსტს. მაგრამ მინისტრმა ნინო ჩხობაძემ წინა დღეს ქართველი ექსპერტებისათვის მიყენებული შეურაცხყოფისა და მოლაპარაკებების ჩაშლისათვის დევიდ ვუდვორდს ბოდიშის დაუყოვნებლივ მოხდა მოსთხოვა. მილსადენის კომპანიის თავკაცმა პატიება ითხოვა და განხილვაც დაიწყო. მაგრამ, მსვლელობისას თვალნათლივ გამოჩნდა, რომ "ბიპი" არასტრატეგიული მნიშვნელობის დეტალების განხილვით დროს წელავდა. ვუდვორდის არგუმენტები მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტისგან მიღებულ დაპირებებს ეფუძნებოდა. სწორედ ედუარდ შევარდნაძე და არა რატიფიცირებული ხელშეკრულება დაპირდა "ბიპის" გარემოსდაცვითი ნებართვის ნოემბრის ბოლომდე გაცემას. დაწყებიდან ერთ საათში ვუდვორდი დაემშვიდობა მონაწილეებს და "კეთილგანწყობილი სამუშაო ატმოსფეროს იმედით" საღამოს დაბრუნებას დაპირდა. მან შესთავაზა ნინო ჩხობაძეს, რომ 20 საათისათვის ნებართვისა და პირობების შეთანხმებული ტექსტი ერთად წარედგინათ პრეზიდენტისათვის. "ნება თქვენია, მაგრამ ჩვენ სამუშაოც და დროც გვაქვს ღამის 12 საათამდე," – იყო ნინო ჩხობაძის პასუხი.

ამის შემდეგ "ბიპის" გაჯანჯლების ტაქტიკა უფრო მძლავრად ამუშავდა. მათ იცოდნენ, რომ ნებართვის დროულად გაუცემლობის შემთხვევაში იგი ავტომატურად უპირობო თანხმობას ნიშნავდა – ხელშეკრულების თანახმად...

დღის 4 საათისათვის მწვანეთა მოძრაობის, გარემოსდაცვითი ორგანიზაციების "ლობო" და "მწვანე ალტერნატივა" ახალგაზრდა წევრები ტრანსპარანტებით მიადგნენ გარემოს დაცვის სამინისტროს შენობას. ისინი კვლავ მოითხოვდნენ ნავთობსადენის მარშრუტის აცილებას ბორჯომის რეგიონიდან. ეს ამბავი სასწრაფოდ შეატყობინეს დევიდ ვუდვორდს, რომელიც 18 საათზე უნდა მიბრუნებულიყო სამინისტროში. როგორც ჩანს, "ბოსი" შეშფოთდა. შებინდებისას აქცია მიწყნარდა, მაგრამ ახალგაზრდები არ დაშლილან. საღამოს 8 საათისათვის დევიდ ვუდვორდი მივიდა გარემოს დაცვის სამინისტროში. ბლოკირებულ შესასვლელში მან მოისაზრა და გაღიმებულმა სწორედ იმ ყმაწვილს ჩამოართვა ხელი, რომელსაც ეჭირა პლაკატი წარწერით: **"ნუ შეგვჭამეთ!"**

საკუთარ ავტორიტეტში დარწმუნებული ვუდვორდი ღამის 9 საათზე უკმაყოფილო სახით გამოვიდა ნინო ჩხობაძის კაბინეტიდან და ექსპერტთა სხდომაზე გადაინაცვლა. მისი, საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრისა და გია ჭანტურიას საათნახევრიანი განცალკევებული შეხვედრა მისაღები დოკუმენტის პრინციპული ნაწილების შეთანხმებას ეძღვნებოდა. ამასობაში მენავთობეებს "მაშველმა ძალამ" მოუსწრო – "ბიპის" თბილისის ოფისის ნავთობსადენის პროექტის ექსხელმძღვანელმა ენდრიუ ბინმა. სწორედ ის ირწმუნებოდა სექტემბერში, რომ ყოველგვარი ალტერნატივების განხილვა გამორიცხულია. მაგრამ, მისმა მისვლამ "ბიპის" სიჯიუტეს ვერაფერი შემატა.

საბოლოოდ, ზუსტად შუაღამეს მისთვის არასახარბიელო პირობებზე დათანხმებულმა დევიდ ვუდვორდმა დატოვა კონსულტაციები. ნაძალადევი ღიმილით მან მხოლოდ გამოსცრა: **"მთავარია, რომ ნებართვა დროულად გაიცა. მის დეტალებს კი პირობებში გაეცნობით."**

უამრავი სავალდებულო პირობა მოიცავს პროექტის ყველა ფაზას – დაგეგმარებიდან მონიტორინგამდე. ნებართვის მე-3 პუნქტის თანახმად, თუნდაც ერთი მათგანის შეუსრულებლობა ავტომატურად აჩერებს პროექტის ამ ნაწილის მოქმედებას.

რაც შეეხება ბორჯომის მონაკვეთს, ალტერნატივების განხილვის გარდა, მილსადენის კომპანია უპირობოდ ვალდებულია, მილსადენმა არ გადაკვეთოს მიწისქვეშა წყლების სანიტარული დაცვის 1-ლი, მე-2 და მე-3 ზონები. ეს კი, პრაქტიკულად, ბორჯომის წყლების შენარჩუნების გარანტიაა.

მართალია, ასეთ შეზღუდულ ვადებში და ზეწოლის პირობებში ამგვარი ნებართვის გაცემაც პროგრესად მიიჩნევა, მაგრამ რამდენიმე გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია ამით არ კმაყოფილდება. ორშაბათს "ბიპი" მილსადენის პროექტისთვის ფულის მოსაზიდად მსოფლიო ბანკში განაცხადის შეტანას გეგმავს. მოსალოდნელია ერთდროული აქციები "ბიპისა" და მსოფლიო ბანკის ოფისებთან. გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვის არადამაჯერებლობის შემთხვევაში კი, ზოგიერთი ორგანიზაცია სასამართლოსთვის მიმართვას აპირებს.

ეს ყველაფერი დასაყისია. დასაწყისი და მაჩვენებელი იმისა, რომ თუ ხელისუფლება, რბილად რომ ვთქვათ, უძლურია, სახელმწიფო ინტერესების დასაცავად საზოგადოება იბრძოლებს და გაიმარჯვებს კიდეც, რადგან სწორედ ეს არის ის მონაპოვარი, რასაც საერთაშორისო დემოკრატიული ოჯახის წევრობა გვაძლევს.




ეკონომიკა

# სახელმწიფო სტრუქტურები ფულს უკონტროლოდ და არაეფექტურად ხარჯავენ

*ხარჯების გაწევისას შესაბამისი კანონმდებლობის დარღვევა, აღურიცხაობა, თანხების მოძრაობაზე კონტროლის სისუსტე და ხარჯების არაეფექტურობა – ეს ის დარღვევებია, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაცია "ტრანსპარანს ინტერნეიშენალმა" განათლების სამინისტროს, ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტისა და საგზაო ფონდის მიერ შარშან გაწეული ხარჯების მონიტორინგის შედეგად გამოავლინა.*
*გამოკვლევის ავტორთა აზრით, მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგი მხოლოდ შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ ამ სამ სახელმწიფო უწყებაში ჩატარდა, მისი შედეგების განზოგადება მთლიანად საბიუჯეტო სტრუქტურებზე, მართალია არასრულ, მაგრამ საკმაოდ რეალურ და არასახარბიელო სურათს შექმნის.*

ზვანცა კვინიკაძე

სახელმწიფო ხარჯების მონიტორინგი "ტრანსპარანსი ინტერნეიშენალმა," სოროსის ფონდის პროექტის ფარგლებში, ახალგაზრდა ეკონომისტთა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციებთან ერთად, ჩაატარა. "ტრანსპარანსი ინტერნეიშენალის" წარმომადგენლის ლანა ღვინჯილიას განცხადებით, ამ პროექტის მიზანი სახელმწიფო ორგანიზაციების საქმიანობის გამჭვირვალობის ხარისხისა და მათი საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების დონის ამაღლება იყო. ახალგაზრდა ეკონომისტთა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციები მონიტორინგის წარმოებისას, ძირითადად, თავად შესამოწმებელი უწყებებიდან, აგრეთვე სახაზინო დეპარტამენტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან გამოთხოვილ ინფორმაციას ეყრდნობოდნენ. ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წარმომადგენლის კახა დამენიას განცხადებით, ეს ინფორმაცია სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ სახელმწიფო უწყებებში ხარჯების გაწევისას სერიოზული დარღვევების არსებობა დაფიქსირებულიყო. დამენია, ამ მხრივ, საგზაო ფონდში არსებულ მდგომარეობას გამოყოფს. მისი ინფორმაციით, გამოკვლევამ აჩვენა, რომ ფონდის მიერ გაწეული ხარჯები არაეფექტურია. საგზაო ფონდის თანხების დიდი ნაწილი გზების მიმდინარე შეკეთებას ხმარდება, ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ საგზაო დეპარტამენტის მიერ ყოველწლიურად, დაახლოებით, 40 მილიონი ლარი იხარჯება, გზები მაინც სავალალო მდგომარეობაშია.. რამდენიმე წლის წინათ საგზაო დეპარტამენტის მიერ შემუშავებული სპეციალური 15-წლიანი პროგრამა, რომელიც საქართველოში საავტომობილო გზების რეაბილიტაციაზე სხვადასხვა წყაროებიდან ორი მილიარდი ლარის მოზიდვას ითვალისწინებს, მეტად უმნიშვნელო პროცენტით ფინანსდება. დაფინანსების ეს დონე კი პროგრამის მიზნების მიღწევას ვერ უზრუნველყოფს. გამოკვლევის თანახმად, მნიშვნელოვან ნაკლოვანებად მიიჩნევა ისიც, რომ საგზაო ფონდი საგზაო დეპარტამენტის, ანუ სამუშაოების უშუალო დამკვეთის დაქვემდებარებაში იმყოფება.

უკეთესი მდგომარეობა არც განათლების სამინისტროშია. "ტრანსპარანსი ინტერნეიშენალის" მონიტორინგმა გამოავლინა, რომ სამინისტროში საკმაოდ ზერელედ ეკიდებიან აღრიცხვიანობის საკითხს და, შესაბამისად, მკაცრი არღიცხვის დოკუმენტაციით გაფორმებული შესყიდვები დიდ იშვიათობას წარმოადგენს. გარდა ამისა, დამენიას თქმით, სამინისტროს ერთ-ერთ სკოლა-ინტერნატში 830 ე.წ. "მკვდარი სული" აღმოჩდა, რომელთა შენახვაზეც, გარკვეულ პერიოდში, დაახლოებით, 500 ათასი ლარი დაიხარჯა. გარდა ამისა, ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წარმომადგენლის თქმით, ინფორმაციის ოფიციალურად გამოთხოვის მიუხედავად, განათლების სამინისტრომ მათ არანაირი მონაცემები არ წარუდგინა სამინისტროს მიერ განხორციელებული რამდენიმე პროექტის შესახებ.

საკმაოდ სერიოზული დარღვევები დაფიქსირდა შემოწმების მესამე ობიექტშიც – ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტშიც. გარდა იმისა, რომ ვერსად მიაგნეს დეპარტამენტის სპეციალური ფონდისთვის განკუთვნილ 14 ათას ლარს, ახალგაზრდა იურისტთა და ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციები მიიჩნევენ, რომ ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც თანხების განკარგვას ეხება, დეპარტამენტში სუბიექტურად წყდება. ამის დასტურად მონიტორინგის ჯგუფს დეპარტამენტის სპეციალური საბჭოს მიერ გრანტების განაწილების პროცესი მოჰყავს, როცა ხუთი გრანტიდან ოთხი იმ არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიიღეს, რომელთა წარმომადგენლებიც ამავე საბჭოს წევრები არიან.

ერთ-ერთი უმთავრესი დასკვნა, რაც, განხორციელებული მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე, მისმა შემსრულებელმა ჯგუფმა გამოიტანა, ქვეყნის მაკონტროლებელი ორგანოების არასრულფასოვან მუშაობას შეეხება. კახა დამენიას განცხადებით, საქართველოში კონტროლის სისტემა "გამოჭერის" პრინციპით მუშაობს, რაც მაკონტროლებელსა და კანონის დამრღვევს შორის გარიგებების დადების საშუალებას იძლევა.

# ორშაბათამდე საქართველო ბნელში დარჩება

მაია ურუშაძე

სამდღიანი საყოველთაო უშუქობის გამო, გუშინ ენერგეტიკოსები კანცელარიაში კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. როგორც ცნობილია, ელექტროენერგიის გათიშვის მიზეზად 500-კილოვოლტიან ელექტროგადამცემ ხაზ "იმერეთზე" განხორციელებული დივერსია იქცა. ენერგოსისტემას საიმისო რეზერვებიც კი არ აღმოაჩნდა, რომ ქვეყნის სტრატეგიული ობიექტების ელექტრომომარაგება მაინც უზრუნველეყო.

როგორც სახელმწიფო მინისტრთან გამართულ საგანგებო თათბირზე გაირკვა, ენერგოსისტემა ელექტროენერგიის იმპორტის აუცილებლობის წინაშე დგას, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან ელექტროენერგიის შემოტანა კი ჯერჯერობით შეუძლებელია. თუმცა, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო, სომხეთთან ფინანსური ურთიერთობების გარკვევის შემდეგ, მის იმპორტზე დაყოლიებას მაინც იმედოვნებს.

რაც შეეხება ელექტროენერგიის იმპორტს რუსეთიდან, ეს საკითხი ტექნიკური თვალსაზრისით ფაქტობრივად მოგვარებულია. როგორც "24 საათს" "საქრუსენერგოს" გენერალურმა დირექტორმა შოთა მაისურაძემ აცნობა, 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი "კავკასიონი" უკვე მწყობრშია და ორშაბათს მისი მეშვეობით 150 მეგავატის სიმძლავრის ელექტროენერგია შემოვა. მანამდე კი, 110-კილოვოლტიანი "სალხინოს" მეშვეობით, რუსეთი საქართველოს 50 მეგავატ სიმძლავრეს აწვდის.

"კავკასიონის" ჩართვა იმის გამო შეფერხდა, რომ გაურკვეველი იყო ფინანსური ვალდებულების საკითხი. რუსეთი "კავკასიონის" ჩართვას მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდა, რაც "რუსეთის გაერთიანებულ ენერგოსისტემას" ელექტროენერგიის საფასური საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო კომპანიამ წინასწარ გადაურიცხა.

საბოლოოდ, ენერგოსისტემა კვლავ დეფიციტურ რეჟიმში იმუშავებს. ჯერჯერობით არ არის დაგეგმილი "ეი-ი-ეს მტკვრის" კუთვნილი მე-9 ენერგობლოკის ამოქმედება, ვინაიდან გაურკვეველია ბლოკისთვის ბუნებრივი აირის შეძენის საკითხი.

მოკლედ

**თბილისი.** საქართველოში სააქციო საზოგადოება "საქგაზის" ფუნქციონირების "არახელსაყრელი პირობების შესახებ" ისაუბრებს "საქგაზის" გენერალური დირექტორი ლეონიდ დეიკალო საერთაშორისო კომპანიათა ჯგუფ "იტერას" გამგეობის თავმჯდომარესთან იგორ მაკაროვთან შეხვედრაზე, რომელიც, ამერიკელ კონგრესმენთა ჯგუფთან ერთად, ორშაბათს ჩამოდის თბილისში. როგორც "პრაიმ-ნიუსს" ლეონიდ დეიკალომ უთხრა, სამთავრობო წრეებიდან "საქგაზის" მიმართ "გაუგებარი ბრალდებები" გაისმის, მაშინ როდესაც, ქართული მხარის მიზეზით, "საქგაზთან" ურთიერთობებში საქართველოს კანონმდებლობა ირღვევა.

"საქგაზის" აქციების 100 პროცენტს "იტერა" ფლობს, რომელიც საქართველოში ბუნებრივი აირის ექსკლუზიური მომწოდებელია. ამასთან, "საქგაზს" საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში 12 შვილობილი კომპანია გააჩნია, საიდანაც 10 გაზის დისტრიბუციას ახორციელებს. "პრაიმ-ნიუსთან" საუბარში საქართველოში "იტერას" წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა თამაზ პატარიძემ განმარტა, რომ "იტერას" მოსკოვის განყოფილება -ამერიკული "იტერა ინეტერნეიშელ ენერჯი კორპორეიშენის" ერთ-ერთი განშტოებაა, ამდენად, ამერიკელ კონგრესმენებთან ერთად თბილისში ჩამომსვლელ ამერიკაში მოღვაწე ბიზნესმენთა ჯგუფში იგორ მაკაროვის ყოფნა "ბუნებრივია".

მისი აზრით, ეს ფაქტი, გარკვეულწილად, შეცვლის პოლიტიკურ წრეებში "იტერას" მიმართ მცდარ შეხედულებებს.

ზოგიერთი პოლიტიკური ჯგუფი საქართველოში "იტერას" საქმიანობას პოლიტიკური სარჩულით განიხილავს. მათ მიაჩნიათ, რომ რუსეთის ხელისუფლება "იტერას" ეკონომიკურ რესურსებს საქართველოზე პოლიტიკური ზემოქმედების ინსტრუმენტად იყენებს. **"პრაიმ-ნიუსი"**

■ ■ ■

**თბილისი.** სათბობენერგეტიკის სამინისტრო ამთავრებს მუშაობას პრეზიდენტის განკარგულებაზე, რომლის თანახმად უნდა იქნეს მიღებული ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული ენგურჰესის რეაბლიტაციის პროექტი. როგორც კავკას-პრესისათვის გახდა ცნობილი, ეს დოკუმენტი ითვალისწინებს სოჭი- ოჩამჩირის რკინიგზის ამოქმედებას. ამ გზით ენგურზე რუსეთიდან ტექნიკური დანადგარები იქნება შემოტანილი. უკანასკნელი დიდი ავარიის შემდეგ, რომლის დროსაც მწყობრიდან გამოვიდა ტურბინები, მინისტრმა დავით მირცხულავამ ციმბირიდან ანალოგიური ტურბინების შემოტანის აუცილებლობის შესახებ განაცხადა, ვინაიდან ისინი მხოლოდ რუსეთში იწარმოება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლება კატეგორიულად ეწინააღმდეგება აფხაზეთის სარკინიგზო მაგისტრალის ამოქმედებას.

მოსამზადებელი სამუშაოები პროექტის რეალიზაციის მიზნით უკვე დასრულებულია და შემდეგ კვირას თბილისში აფხაზი ენერგეტიკოსების ჯგუფი ჩამოვა.

სამართალი

# 63 წლის პატიმარმა თავდაყირა დგომაში რეკორდი დაამყარა



შალვა იმნაძე ბედის უკუღმართობას თავდაყირა დგომით მკურნალობს.



*საქართველოს სხვადასხვა ციხეებში, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა დანაშაულისთვის შალვა იმნაძის მიერ გატარებული 30 წელიწადი სარეკორდო სულაც არ გახლავთ. შვიდჯერ ნასამართლევმა 63 წლის პატიმარმა გუშინ სხვა სფეროში გამოიჩინა თავი – იგი ორ საათზე მეტხანს იდგა თავდაყირა.*

სოფიკო ჩხაიძე

ავჭალის მკაცრი რეჟიმის კოლონიის პატიმარი შალვა იმნაძე გინესის რეკორდების წიგნში შესვლაზე აცხადებს პრეტენზიას. ის ფიქრობს, რომ მსოფლიოში ვერავინ შეეჯიბრება თავდაყირა დგომაში, უფრო ზუსტად, თავზე დამდგარი მასზე დიდხანს ვერავინ გაძლებს. როგორც შევიტყვეთ, მსოფლიოში თავდაყირა დგომის რეკორდი აქამდე არც დაფიქსირებულა, შესაბამისად, ამ საქმის პიონერს წარმატება გარანტირებული აქვს, მით უმეტეს, რომ გუშინ მან ყოველგვარი საყრდენის გარეშე თავზე მდგომმა ზუსტად 2 საათი, 2 წუთი და 10 წამი გაძლო. ამასთან, რეკორდის შემსწრე ექიმების გასაკვირად, წნევის ცვლილებაც კი არ დაფიქსირებია. არადა, ხანგრძლივად თავდაყირა დგომით გართობა ადამიანისთვის საკმაოდ სახიფათო შეიძლება აღმოჩნდეს, მაგრამ არა შალვა იმნაძისთვის, რომელიც 1983 წლიდან იოგას მისდევს. იოგათი იგი მორიგი პატიმრობისას, ციხეში დაინტერესებულა. როგორც თავად ამბობს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. ახლა უკვე თვლის, რომ სრულიად ჯანმრთელია და რეკორდის დამყარებით მთელი სამყაროსთვის ადამიანის უსაზღვრო შესაძლებლობების ჩვენება სურს. გარდა იოგას ვარჯიშებისა, იგი საკმაოდ პოპულარული პოლ ბრეგის დიეტასაც იცავს, რაც ციხის პირობებში განსაკუთრებით ეადვილება, რადგანაც ძირითადად ბოსტნეულით კვებას გულისხმობს.

რეკორდსმენი სხვადასხვა დროს არც ისე მძიმე დანაშაულების – ხულიგნობის, ქურდობისთვის შვიდჯერ არის ნასამართლევი. განვლილი ცხოვრების ნახევარზე ოდნავ ნაკლები – 30 წელი ციხეში აქვს გატარებული და გისოსებს მიღმა ყოფნის ექვსი წელი კიდევ წინ აქვს. ამჯერად იგი სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის იხდის თორმეტწლიან სასჯელს. მისი ადვოკატის გიორგი ამანათაშვილის მტკიცებით, მაქსიმალური სასჯელი, რაც მისთვის სასამართლოს შეიძლებოდა შეეფარდებინა, 8 წელი იყო, მაგრამ დამამძიმებელ გარემოებად, სასამართლომ დანაშაულის ჩადენის მომენტში იმნაძის ნასვამ მდგომარეობაში ყოფნა გაითვალისწინა, თუმცა კი ამის დამადასტურებელი ექსპერტიზის დასკვნა სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება. სამაგიეროდ, ადვოკატს ხელთ აქვს თბილისის ფსიქიატრიული საავადმყოფოსა და ფოთის საავადმყოფოს დასკვნები, რომელთა თანახმადაც, შალვა იმნაძე საკმაოდ მძიმე ფსიქიური ავადმყოფია. ეს დასკვნები კი აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის საფუძველს იძლევა. როგორ გადაწყდება შალვა იმნაძის ბედი და იმოქმედებს თუ არა მისთვის სასჯელის შემსუბუქებაზე დამყარებული რეკორდი, ჯერჯერობით უცნობია. გუშინ კი ორსაათზე დიდხანს თავდაყირა დგომის შემდეგ იგი კვლავ თავის საკანს დაუბრუნდა.

# დაკავებულია მძარცველთა ჯგუფი



ყაჩაღური ჯგუფის წევრები.

პირველი გვერდიდან

**მოულოდნელად თავს ესხმოდა შემთხვევით გამვლელებს და ძარცვასთან ერთად, მსხვერპლს ფიზიკურადაც უსწორდებოდა,"** – აღნიშნა ჩვენთან საუბარში დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის კრიმინალური პოლიციის უფროსმა ოთარ მიქაძემ.

დაზარალებულთა დაკითხვით ასევე დადგინდა თავდამსხმელთა აღწერილობაც. მათ დასაკავებლად აღნიშნულ ტერიტორიაზე იმავე ღამეს მორიგე ჯგუფები გავიდა. რამდენიმე საათში პოლიციამ სასტუმრო "კოლხეთის" მახლობლად ხუთკაციანი ჯგუფი დააკავა.

სამართალდამცველთა განმარტებით, ალექსანდრე აბალაკი, ვასილ ჭინჭარაშვილი, თემურ ფხალაძე და არასრულწლოვანი ვლადიმერ ჯაფარიძე ძარცვაზე სპეციალიზებული ჯგუფის წევრები აღმოჩნდნენ. როგორც ოთარ მიქაძემ გვითხრა, ერთ-ერთ დამნაშავეს დაკავებისას ნაქურდალი ქურთუკი ეცვა. სხვათა შორის, უკვე მოხერხდა სხვა ნაძარცვი ნივთების ამოღებაც.

ორდღიანი გამოძიების შემდეგ დადგინდა, რომ ჯგუფს ქურდობისთვის ერთხელ ნასამართლევი ვალერი ბეჟიკაშვილი ხელმძღვანელობდა. მართალია, იგი ჯერჯერობით არ აუყვანიათ, მაგრამ პოლიცია დარწმუნებულია, რომ მასაც მალე დააკავებს.

**"სხვა მძარცველებისგან განსხვავებით, დაკავებული ჯგუფი განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. როგორც დაკითხვებით დგინდება, ისინი არა მარტო ძარცვავდნენ მოქალაქეებს, არამედ ფიზიკურადაც უსწორდებოდნენ მათ. მნიშვნელობა არ ჰქონდა, უწევდათ თუ არა მსხვერპლი წინააღმდეგობას",** - გვითხრა კრიმინალური პოლიციის უფროსმა.

მძარცველთა საქმე შემდგომი გამოძიებისთვის დიდუბე-ჩუღურეთის პროკურატურაში გადაიგზავნა. დაკითხულები არიან როგორც დამნაშავეები, ასევე დაზარალებულებიც. მათ შორის ჩატარდა დაპირისპირება და მოხდა ამოცნობაც.

გამოძიების მიერ შეკრებილი მტკიცებულებები სარწმუნოდ მიიჩნია სასამართლომაც და დაკავებულებს გუშინ სამი თვით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ამჟამად დამნაშავეები სასჯელაღსრულების №5 დაწესებულებაში არიან გადაყვანილნი, სადაც გამოძიების საბოლოო შედეგებს დაელოდებიან. ოთარ მიქაძის ვარაუდით კი, არ არის გამორიცხული, რომ ჯგუფის წევრებმა სხვა დანაშაულებიც აღიარონ.

# ძებნილი რესტორან „ნიკალაში" საუზმობდა

*სიგარეტის ბიზნესითა და სასამართლო ბატალიებით ცნობილ ელიზბარაშვილების ოჯახს კვლავ სამართალდამცველ ორგანოებთან მოუწევთ საქმის დაჭერა. გუშინ პოლიციამ წელიწადნახევრის ძებნის შემდეგ დააკავა ფირმა "ელიზის" პრეზიდენტის თამაზ ელიზბარაშვილის ვაჟი გურამ ელიზბარაშვილი, რომელზეც განზრახ მკვლელობის ბრალდებით ძებნა იყო გამოცხადებული.*

სოფიკო ჩხაიძე

19 წლის გურამ ელიზბარაშვილს თავისივე თანატოლის - მიხეილ ცირეკიშვილის მკვლელობა ბრალდება. ცირეკიშვილი 2001 წლის 19 მაისს საკუთარ დაბადების დღეზე, ფიზიკის ინსტიტუტის მახლობლად მდებარე რესტორანში მოკლეს. ტრაგედიის მოწმეები ერთხმად ირწმუნებიან, რომ ცირეკიშვილს სწორედ ელიზბარაშვილმა ესროლა და გარდა ამისა, დაჭრა მოკლულის ბიძა და ბიძაშვილი. პოლიციელთა განცხადებით, მკვლელობა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა. ჩხუბის მოტივებზე საუბარს სამართალდამცველები თავს არიდებენ, თუმცა კი, გავრცელებული ხმების თანახმად, დავა გოგონას გამო წამოიჭრა.

გურამ ელიზბარაშვილი გუშინ დილით გამსახურდიას გამზირზე მდებარე რესტორან "ნიკალაში" დააკავეს. იგი მარტო საუზმობდა, როდესაც თავს პოლიციელები დაადგნენ. დაკავებისას ელიზბარაშვილს წინააღმდეგობა არ გაუწევია.

ვაკე-საბურთალოს კრიმინალური პოლიციის უფროსის ზურაბ ბაქრაძის განცხადებით, **"მთელი წელიწადნახევრის მანძილზე ელიზბარაშვილი თბილისში არ იმყოფებოდა და მხოლოდ რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა. მისი ჩამოსვლის შესახებ ოპერატიული ინფორმაცია გვქონდა და თვალს ვადევნებდით. დაკავებისთვის შესაფერისი მომენტი როგორც კი შევარჩიეთ, დავაკავეთ კიდეც. აყვანისას მას წინააღმდეგობა არ გაუწევია, არც იარაღი აღმოაჩნდა".**

გურამ ელიზბარაშვილის ადვოკატი გოგმარ გაბუნია აცხადებს, რომ **"ერთადერთი, რაზეც სამართალდამცველებს ვერ შეედავები, ის არის, რომ ცირეკიშვილის დაბადების დღეზე მისულ ელიზბარაშვილს იარაღი მართლაც ჰქონდა. თუმცა კი, ის ამბობს, რომ ცირეკიშვილთან დასალაპარაკებლად მივიდა, რადგან ეს უკანასკნელი შეურაცხყოფას აყენებდა მას და მის ოჯახის წევრებს. მაგრამ რესტორანში მისულს ცირეკიშვილის ახლობლები შეესივნენ. გურამი ამბობს, რომ გამოიქცა და ადევნებულების შესაჩერებლად ზურგსუკან ისროდა. იმის შესახებ, რომ ცირეკიშვილი მოკვდა, მხოლოდ მერე შეიტყო".**

გოგმარ გაბუნია ადასტურებს პოლიციის განცხადებას, რომ ელიზბარაშვილი მთელი წელიწადნახევრის მანძილზე მართლაც არ იმყოფებოდა თბილისში: **"უკან დაბრუნებას თავად იმით ხსნის, რომ მალვით დაიღალა. ჩამოვიდა, მეგობრებში გაიარა და ვიღაცამ შეატყობინა კიდეც პოლიციას",** - ამბობს ადვოკატი.

www.24hours.ge 24 B

რაგბი

# შიშმა კარგი ხაზი იცის

## დახაზულ სტადიონზე "ლოკომოტივმა" პირველი ნახევარფინალი მოიგო

პაატა თოთაძე

**საქართველოს ჩემპიონატი. ნახევარფინალი**
*ლოკომოტივი - ყოჩები 33:23*

**ლოკომოტივი:** სუჯაშვილი, მაჭუტაძე, გასვიანი, კერესელიძე (სვანიძე), ბერძენიშვილი, ჯოხია, მაისურაძე, კობახიძე, სამხარაძე, ხაჩირაშვილი, აბაშიძე, ალანია (გიგაური), ელოშვილი, გუგავა, ასათიანი
*3 ლ. - მაჭუტაძე, კობახიძე, კერესელიძე*
*3 გ. და 4 ჯ. - ხაჩირაშვილი*
**ყოჩები:** კიკნაველიძე, არიმბალაშვილი, გუსუხია, ხურცილავა, კიკვიძე (სულთანიშვილი), ჯორჯაძე, მალაღურაძე, რუშაძე, აილოძე, ავლოხაშვილი, გრუდკო, სოხაძე, ტრაპაიძე, შენგელია (შარაშენიძე), კობერიძე
*3 ლ. - ჯორჯაძე, სოხაძე, ტრაპაიძე*
*1 გ. და 2 ჯ. - ავლოხაშვილი*

ის, რომ "ლოკომოტივი" "ყოჩებს" დაამარცხებდა, ყოჩთა თავგადაკლული გულშემატკივრის გარდა, არავის ეეჭვებოდა, მაგრამ მოედანზე დატრიალებულმა მოვლენებმა კინაღამ ჩემპიონატის პირველი სენსაცია გამოაცხო.

როგორც ჩანს, რკინიგზელებმა კარგად გააცნობიერეს "დათვებთან" მატჩში მომხდარი ამბავი და გუშინ მეტოქეს, შეძლებისდაგვარად, მოწესრიგებული მოედანი დაახვედრეს. არც სასწრაფო დახმარების მანქანის მოყვანა დავიწყებიათ. მოედანთან ერთად, "ყოჩებს" "ლოკომოტივიც" მომზადებული დახვდა. წინა მატჩებისგან განსხვავებით, თანაგუნდელებს "ყოჩების" წინააღმდეგ კახა ალანია, ლექსო გუგავა, გიორგი ასათიანი, აჩიკო კობახიძე და რუსეთიდან ჩამოსული სუჯაშვილი ეხმარებოდნენ. მატება იყო მეტოქის შემადგენლობაშიც - კრასნოიარსკიდან დაბრუნებულმა რატი ურუშაძემ ძველ გუნდს მიაშურა.

პირველ ტაიმში "ლოკომოტივი" უკეთესად გამოიყურებოდა, რასაც ვერ ვიტყვით მატჩის მეორე ნახევარზე. პირველი ტაიმი რკინიგზელებმა 23:6 მოუგეს მეტოქეს. აჩიკო კობახიძემ და კაკო მაჭუტაძემ თითო ლელო გაიტანეს. სხვათა შორის, "ლოკომოტივის" სამივე ლელო მორკინალების ანგარიშზეა, რომლებმაც იმ დღეს დაჯაბნეს ყოჩი მორკინალები.

შესვენების შემდეგ ვითარება კარდინალურად შეიცვალა. ამაში ორივე მხარეს მიუძღვის წვლილი. "ყოჩებს" უკან დასახევი გზა არ ჰქონდათ და, რაც იცოდნენ და შეეძლოთ, ყველაფერი გამოამჟღავნეს, ლოკომოტიველებმა კი ნაადრევად ირწმუნეს გამარჯვება და მოეშვნენ. ასეა თუ ისე, "ყოჩები" მეორე ტაიმში უკეთ გამოიყურებოდნენ. ჯერ ჯორჯაძემ, შემდეგ კი სოხაძემ და ტრაპაიძემ სამჯერ აიღეს მეტოქის ჩათვლის მოედანი. ყველაფერი გადაწყვიტა რკინიგზელი კერესელიძის ლელომ, რომელშიც, მასზე მეტად, ყოჩი შენგელიაა "დამნაშავე". ბოლო წუთებზე "ყოჩები" ისევ შეეცადნენ შვიდქულიანი დეფიციტის აღმოფხვრას, მაგრამ, ამის სანაცვლოდ, საკუთარ კარში მიიღეს ჯარიმა ხაჩირიშვილისგან, რომელმაც დააფიქსირა კიდეც საბოლოო ანგარიში.


შეტევაზეა ვასილ აბაშიძე

დღეს მეორე ნახევარფინალი გაიმართება. ბათუმში "დათვები" და "დათვები 2" შეებრძოლებიან ერთმანეთს. მომავალ კვირას "ლოკომოტივს" სწორედ ამ წყვილში დამარცხებულთან მოუწევს ფინალის საგზურისთვის ბრძოლა.

კალათბურთი

# სტუდენტები ერთმანეთს დაერივნენ

**საქართველოს ჩემპიონატი. მე-11 ტური:**
*დინამო - სსუ 105:65, თსუ - სტუ 80:78, მაკაბი - ქუთაისი 82:77, აკადემია - ბასკო 69:107.*

საქართველოს ჩემპიონატის მე-11 ტურში, მეათისგან განსხვავებით, სენსაცია არ დაფიქსირებულა. როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემპიონატის ფავორიტებმა იოლი გამარჯვებები მოიპოვეს. "დინამომ" დაამარცხა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი, ხოლო "ბასკომ" - საკალათბურთო "აკადემია". უაღრესად საინტერესო და, შეიძლება ითქვას, ტურის ცენტრალური მატჩი სახელმწიფო და ტექნიკური უნივერსიტეტების გუნდებმა გაითამაშეს.

ძველ მეტოქეთა შეხვედრა ყოველთვის დაძაბულია, მით უმეტეს, თუ სატურნირო მდგომარეობას ეხება საქმე. სენსაციური გამარჯვებების შემდეგ (თსუ-მ ბათუმში "ბასკო" დაამარცხა, ხოლო სტუ-მ - "დინამო"), მე-11 ტურში, სტუდენტები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ბათუმური ვოიაჟის შემდეგ თსუ აშკარად უკეთ გამოიყურებოდა და ინიციატივას თავიდანვე დაეუფლა. როგორც ჩანს, ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები "დინამოსთან" დაპირისპირებამ ძალიან გადაღალა. მათ არც სროლები წაუვიდათ და ორგანიზებულად ვერც დაცვაში ირჯებოდნენ.

ამის გამო სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები საგრძნობ უპირატესობას დაეუფლნენ და ერთხანს 11 ქულასაც იგებდნენ. დამაჯერებლად თამაშობდა ლევან ქარაბაკი, რომელმაც, ეტყობა, ტრავმის შემდეგ სრულად აღიდგინა ძალები, მაგრამ თავისი ოსტატობის ბოლომდე გამოყენების საშუალება არ მიეცა. მსაჯთან შეკამათების გამო იგი მინდვრიდან გააძევეს. სტუ მხოლოდ ამის შემდეგ გამოფხიზლდა და ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა, მაგრამ გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა - 80:78 თსუ-ს სასარგებლოდ.

სოხუმის უნივერსიტეტის გუნდთან შეხვედრაში "დინამოს" უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა. მე-10 ტურის შემდეგ ლევან მოსეშვილმა, როგორც ჩანს, სწორი დასკვნები გააკეთა. ჩემპიონატის მეორე ფავორიტი, ბათუმის "ბასკო", იოლად გაუსწორდა "აკადემიას". ქუთაისელმა კალათბურთელებმა კი ვერაფერი გააწყვეს "მაკაბის" წინააღმდეგ.

11 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილს 10 გამარჯვებით ლიდერობს თბილისის "დინამო". ბათუმის "ბასკოს", რომელიც პლეი-ოფებისთვის გაძლიერებას აპირებს, 9 მოგება აქვს. მესამე საფეხურზე კი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები არიან.

ჩოგბურთი

# ბორია დაღონდა - ჟენია ვეტერანივით თამაშობს

კახა ფაჩუაშვილი

**დევისის თასის ფინალი**
*საფრანგეთი - რუსეთი 2:1*
**წყვილთა თანრიგი**
*ესკუდე/სანტორო - კაფელნიკოვი/საფინი 6:3, 3:6, 5:7, 6:3, 6:4*

მართალი იყო ალექსანდრე მეტრეველი, როცა ამბობდა: "წყვილთა თანრიგში ესკუდე\სანტოროს დუეტი ძალიან ძლიერია და თუ ფრანგები მოიგებენ, რუსეთის ნაკრებს დევისის თასის მოპოვება უკიდურესად გაუჭირდება". როგორც ჩანს, მეტრეველმა მთლიანად რუსეთის ნაკრების განწყობილება გადმოგვცა.

კაფელნიკოვიცა და საფინიც "ბერსის" კორტებზე ისე თამაშობდნენ, თითქოს გუშინ გადამწყვეტი მატჩი იყო. მათ კარგად მოეხსენებათ, რომ ფრანგული აუდიტორიის წინაშე ზედიზედ ორი პარტიის მოგება წარმოუდგენლად ძნელია და, ამ ფონზე, წყვილებში გამარჯვებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ იყო, რომ რუსები ზედმიწევნით ფრთხილად თამაშობდნენ და ცდილობდნენ, რაც შეიძლება, ნაკლები შეცდომა დაეშვათ.

ამ ტაქტიკამ შედეგი გამოიღო. სამი სეტის შემდეგ რუსები დაწინაურდნენ (2:1). მეოთხე სეტში კი კაფელნიკოვის მოწოდების შემდეგ ანგარიში გახდა 2:0 სტუმართა სასარგებლოდ. ეს იყო კულმინაციური მომენტი, რომელმაც გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი, ოღონდ, ფრანგების სასარგებლოდ. ფაბრის სანტორომ რამდენიმე წარმოუდგენელი ბურთი აიღო, ხოლო ნიკოლა ესკუდეს მოწოდებებს სლავებმა ვერაფერი მოუხერხეს და მასპინძლები დაწინაურდნენ (5:2).

ზედიზედ ხუთი სეტის წაგებამ რუსები უაღრესად დათრგუნა. კაფელნიკოვი ვეტერანივით დუნედ მოქმედებდა. საფინს კი მატჩის შემოსაბრუნებლად, უბრალოდ, ენერგია არ ეყო. "გი ფორჟემ (საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი) მოძებნა რუსების გასანეიტრალებელი საშუალება და ეს ძალიან მნიშვნელოვანია", - განაცხადა ფრანგული ჩოგბურთის ვეტერანმა ანრი ლეკონტმა.

ეს საშუალება ესკუდე/სანტოროს დუეტი იყო. რუსები ფსიქოლოგიურად გატყდნენ. მეხუთე, გადამწყვეტ სეტში, მასპინძლებს პრობლემები აღარ შექმნიათ. "ბერსის" გადაჭედილი ტრიბუნები ფეხზე ადგომით შეეგება თავის გმირებს. ერთადერთი, ვინც ყურებჩამოყრილი იჯდა, რუსეთის პირველი პრეზიდენტი ბორის ელცინი იყო, რომელიც, ავადმყოფობის მიუხედავად, დევისის თასზე დასასწრებად პარიზში სპეციალურად ჩავიდა.

დღეს გადამწყვეტი შეხვედრები გაიმართება. რუსებს ორივე მატჩის მოგება მართებთ. ცნობილია, რომ


ფაბრის სანტორო და ნიკოლა ესკუდე

პირველად კორტებზე გამოვლენ მარატ საფინი და საფრანგეთის ნაკრების პირველი ნომერი სებასტიან გროსჟანი. თუ საფინი მოიგებს, მაშინ გი ფორჟე გადაწყვეტს, ვინ დაუპირისპიროს მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს ევგენი კაფელნიკოვს.

შეგახსენებთ, რომ 20 წლის პოლ-ანრი მატიე, რომელიც გი ფორჟემ, არნო კლემანის ნაცვლად, ნაკრებში ბოლო მომენტში შეიყვანა (მოსკოვში, კრემლის თასზე, საფინის სენსაციურად დამარცხების შემდეგ), ფინალური მატჩის პირველივე შეხვედრაში საფინთან დამარცხდა. ამიტომ, გამორიცხული არ არის, გადამწყვეტ მომენტში, იგი უფრო გამოცდილმა არნო კლემანმა შეცვალოს.

ფორმულა 1

# კრისტიანო და მატა: "ბარიკელო დამეხმარება"

*კარტის სერიაში მსოფლიო ჩემპიონი, ბრაზილიელი კრისტიანო და მატა მომავალი სეზონიდან ფორმულა 1-ში დამკვიდრებას აპირებს. ამ კვირაში ფორმულა 1-ის ახალბედა იმით იყო დაკავებული, რომ თავის ახალ ამპლუაში ადაპტაციის პერიოდს გადიოდა - მომავალი "დიდი პრიზის" რბოლებისთვის ემზადებოდა. სულ ერთი კვირის თავზე, რაც და მატამ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ახალ ბოლიდში, "Panasonic Toyota"-ში გადაბარგდა და ბარსელონის ტესტებზე წრეების ათვისებას შეუდგა.*

1996 წლიდან მოყოლებული, კრისტიანო მეოთხე პილოტია, რომელიც კარტიდან ფორმულა 1-ში გადავიდა. ამ მრბოლთაგან მხოლოდ ალექს ზანარდიმ ვერ მოახერხა, ავტოსპორტის უმაღლეს მწვერვალზე დამკვიდრებულიყო. დანარჩენებმა საუკეთესოდ წარმოაჩინეს თავი. ჟაკ ვილნევმა, კარტიდან გადმოსვლის ორი წლის თავზე, ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ხუან პაბლო მონტოიამ კი, თავის სადებიუტო წელს, სპეციალისტებზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა და წლევანდელ სეზონში პირველობის ერთ-ერთი ფავორიტია.

კრისტიანო და მატა გარისკვას არ აპირებს და ცდილობს, ზოგიერთ, მისთვის უცნობ ნიუანსში რბოლების დაწყებამდე გაერკვეს. ვინაიდან კარტი ბევრად განსხვავდება ფორმულა 1-ისგან, როგორც წესი, იქ დამკვიდრება არცთუ უმტკივნეულოა და ეს მატამ ძალიან კარგად იცის. ამიტომ იმედი აქვს, რომ დაეხმარება თავისი მეგობარი, ბრაზილიელი რუბენს ბარიკელო, რომელიც "ფერარის" ღირსებას იცავს. და მატა აპირებს, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს მიმართოს რამდენიმე კითხვით, რომელიც მას პირველი ტესტების შემდეგ გაუჩნდა.


კრისტიან ფიტიპალდი, კრისტიან და მატა და ტონი კანანი

"ბევრი კითხვა დამიგროვდა. ბოლიდში გატარებული ორი დღის შემდეგ ზოგიერთი საკითხის განმარტება დამჭირდება, რისთვისაც საუბარი მომიწევს უამრავ ადამიანთან, მათ შორის, ჩემს მეგობარ რუბენს ბარიკელოსთანაც. ის აუცილებლად დამეხმარება. ბარიკელო ყველაზე გამოცდილი ბრაზილიელი პილოტია და მასთან ურთიერთობა ჩემთვის განსაკუთრებით სასარგებლო იქნება", - განაცხადა კრისტიანო და მატამ.

მოკლედ

**ფეხბურთი.** ინგლისის ნაკრების გულშემატკივრები 2003 წლის კალენდარში, დამატებით, კიდევ ერთ მატჩს იხილავენ. 12 თებერვალს, ლონდონში, ინგლისელები ავსტრალიელებს შეხვდებიან, შემდეგ კი ხორვატებთან მოუწევთ თამაში. ერიკსონის ქვეშევრდომებისთვის ხორვატებთან მატჩს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის ერთგვარი რეპეტიციის სახეც ექნება. 29 მარტს ინგლისელებს ლიხტენშტაინთან უწევთ თამაში.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** შვეიცარიული კლუბის "ვილის" პრეზიდენტი ანდრეას ჰაფენი საკუთარი გუნდის აღზევებისთვის ყველაფერზე რომ წავიდა, იქიდანაც ჩანს, რომ ბანკ UBS-დან, 10 წლის განმავლობაში, 32 მილიონი დოლარი გამოიტანა და აქედან 6,8 მილიონი "ვილის" ანგარიშზე ჩარიცხა. ყოველ შემთხვევაში, ჰაფენისთვის წაყენებული ბრალდება გვამცნობს, რომ "ვილის" ანგარიშზე მილიონებს ის შემოწირულობებსა და სპონსორთა შეთანხმებებს უდებდა საფუძვლად, ერთი სიტყვით, ამგვარად ათეთრებდა. გამოძიებამ ისიც გაარკვია, რომ, ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისიდან, ჰაფენს თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი სენტ-გალენის UBS განყოფილებიდან საკუთარი ვალების გასასტუმრებლადაც გამოჰქონდა. კერძოდ, ადგენდა ყალბ ანგარიშებს, აფორმებდა წაგებიან ინვესტიციებს. გამომძიებლებს ჰაფენის გამოსაჭერად მთელი ათი წელი დასჭირდათ. ახლა ის სუფთა ჰაერზეა, რადგან პოლიციელებს მიაჩნიათ, რომ ბრალდებული შვეიცარიას არ დატოვებს. საინტერესოა, რომ, ბოლო სეზონებში, ჰაფენის წყალობით, "ვილი" უდაბლესი დივიზიონიდან უძლიერესთა მესამე საფეხურამდე აღზევდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგაში "რეალთან" მიღებული ტრავმის გამო "მილანის" ფორვარდი რივალდო კლუბს ორი კვირით გამოაკლდა. ექიმების ვარაუდით, ბრაზილიელი სერია A-ს ორ მატჩს გამოტოვებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გერმანელებმა, ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, გადაწყვიტეს, საფეხბურთო მატჩებისთვის ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობა, გამოსაცდელი ვადით, განეახლებინათ. ამგვარი გადაწყვეტილება მიიღეს საარბრიუკენში, 16 ფედერაციის სპორტის მინისტრთა კონფერენციაზე. დადგენილებაში წერია: თუ აკრძალვის მოხსნა განაახლებს არეულობებს იმ გულშემატკივართა მხრიდან, რომლებიც ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იქნებიან, მაშინ ისევ ძველი წესი ამოქმედდებაო.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "Soccerage"-ის ცნობით, "რომას" კაპიტანს, ფრანჩესკო ტოტის, უსაფუძვლოდ ეჩვენება გავრცელებული ხმები, თითქოს კლუბში ცუდი ატმოსფეროა შექმნილი. "მიუხედავად იმისა, რომ "პარმასა" და "არსენალთან" დავმარცხდით, ამას ჩვენს ურთიერთობებში პრობლემები არ შეუქმნია. კარგი იქნებოდა, რომ გაგვემარჯვა, რაც მეტ თავდაჯერებულობას შეგვძენდა, მაგრამ კლუბი ახლაც ერთიანია და მჯერა, უსიამოვნებებს მოვერევით", - განაცხადა ტოტიმ.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი მიხაელ შუმახერი ტრადიციას არ ღალატობს და, პირველი შესაძლებლობისთანავე, საფეხბურთო მოედნისკენ გარბის. ამჯერადაც ასე იყო: "ფერარის" პილოტმა გერმანულ საფეხბურთო კლუბ "კიოლნთან" ერთად ივარჯიშა. РИА "Новости"-ის ცნობით, შუმახერი დიდი ხანია ოცნებობდა, მისთვის საყვარელ გუნდთან ერთად ვარჯიშს. ასეთი კი "კიოლნია" და ამაში გასაკვირი არაფერია - შუმახერი, წარმოშობით, კიოლნთან ახლო მდებარე პატარა ქალაქ კერპენიდანაა. "კიოლნის" ერთგულებაც აქედან მოდის. თანაც, შუმახერი "ფერარის" სატესტო რბოლებში არ მონაწილეობს და ფეხბურთის სათამაშოდაც ამიტომ მოიცალა. კოკპიტში ჩაჯდომას კი "ფერარის" პილოტი იანვრის შუა რიცხვებამდე არ აპირებს.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** "იაგუარის" დამწყებმა პილოტმა, ბრაზილიელმა ანტონიო პიცონიამ, რომელიც ბარსელონაში, საჯინიბოს ტესტებში გამოდიოდა, დაამტკიცა, რომ ფორმულა 1-ში ასპარეზობის ღირსია. ალბათ, უცნაურად მოგეჩვენებათ ის ფაქტი, რომ პიცონიამ 70 ათასი ევროს ღირებულების "იაგუარ" S-type R დაამსხვრია.

ბრაზილიელმა მრბოლმა "იაგუარის" საჭე ვერ დაიმორჩილა მაშინ, როდესაც სტარტ-ფინიშის სწორს გასცდა და პირველ მარჯვენა მოსახვევში, 250 კმ-სთში სიჩქარით, ტრასიდან საბურავების გროვაში შევარდა. მანქანაში სამი მგზავრი იჯდა. სამედიცინო შემოწმების შემდეგ ექიმებმა განაცხადეს, რომ პილოტსა და მის გზავრებს ყველაფერი რიგზე აქვთ.

■ ■ ■

**რალი.** ახლახან იყო, ედი ირვაინმა კოლეგებს - ჯონ ჰერბერტსა და ჰაინც ჰარალდ ფრენცენს რომ მიბაძა და სარალო ავტომანქანის საჭეს მიუჯდა. არ დაგავიწყდეთ ცნობილი იტალიელი მოტომრბოლი ვალენტინო როსიც, რომელმაც დიდი ბრიტანეთის სარალო ეტაპზე იასპარეზა. ახლა კი ჟურნალ "Auto, Motor und Sport"-ის ინფორმაციაზე დაყრდნობით, ცნობილი ხდება, რომ რალიში საკუთარი ძალების მოსინჯვა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, ფინელ მიკა ჰაკინენსაც სურს. ყოფილი მეფორმულე, რომელმაც სამეფო რბოლები 2001 წლის სეზონის დასასრულს მიატოვა, იანვარში ფინეთში გასამართ რალის ეტაპზე გამოვა. 34 წლის ჰაკინენს ავტომანქანა Mitsubishi Lancer WRC-ის პილოტირება მოუწევს. ფინელი სპორტსმენის ყოფილი მენეჯერის მიკი კეკე როსბერგის თქმით, რალის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ჰაკინენი მანქანას შვეციაში გამოცდის.

■ ■ ■

**კრივი.** გუშინ ვიტალი კლიჩკოს მენეჯერმა ადრიან ოგულმა განაცხადა, რომ მისი კლიენტი მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის WBC-ის (საბჭოს) ვერსიით ბრიტანელ ლენოქს ლუისს შეერკინება. ინგლისელისა და უკრაინელის ორთაბრძოლა, ოგულის თქმით, 2003 წლის თებერვალში ან მარტში გაიმართება.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი**. მიუხედავად იმისა, რომ ესპანური ერთ-ერთი გავრცელებული ენათაგანია, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მას ორგანიზაციის ოფიციალური ენის სტატუსი არ მიანიჭა.

"ესპანურისთვის ოფიციალური ენის სტატუსის მიკუთვნება უსამართლობა იქნებოდა სხვა ენების მიმართ", - მეხიკოში დასრულებულ სოკ-ის 114-ე სესიაზე განაცხადა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა. მისივე თქმით, თუ სოკ-ი ამ ნაბიჯს გადადგამდა, მაშინ ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებს, ყოველწლიურად, 5-დან 20 მილიონ დოლარამდე ზედმეტი ხარჯი ექნებოდათ, რადგან, ინგლისურთან და ფრანგულთან ერთად, რომლებიც სოკ-ის ოფიციალური ენების სტატუსით სარგებლობენ, მათ ზღვა ინფორმაციის ესპანურად თარგმნაც მოუწევდათ. ესპანურისთვის ოფიციალური ენის სტატუსის მიკუთვნების იდეა კი სოკ-ის ყოფილი პრეზიდენტის ვაჟის ხუან ანტონიო სამარანჩი უმცროსისგან მოდიოდა.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი**. მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის სავარძელი ბელგიელმა ჟაკ როგმა დაიკავა, შეიძლება ითქვას, ყველაფერი ძველ კალაპოტში ჩადგა. მეხიკოს სოკ-ის 114-ე სესიაზე ოლიმპიზმის მოხელეებმა გააუქმეს მათი ყოფილი ხელმძღვანელის ხუან ანტონიო სამარანჩის აკრძალვა, რაც იმას ნიშნავს, რომ, დღეის იქით, ორგანიზაციის წევრებს ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის მებრძოლ პრეტენდენტ ქალაქებში ვიზიტის უფლება განუახლდათ. სოკ-ის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ამგვარი აკრძალვის გაუქმება სპორტის მმართველ ორგანიზაციას შესაძლო ზიანისგან იხსნის. ყველაფერი კი სოლტ ლეიკ სიტისთვის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის მიკუთვნებით დაიწყო. გახსოვთ, ალბათ, იუტას შტატის დედაქალაქის სკანდალური ისტორია. მას შემდეგ, რაც სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის XIX თამაშების მასპინძლობის პატივი ერგო, გაირკვა, რომ, ყოველივეს საზღაურად, სოკ-ის მოხელეთა ერთი ნაწილი ამერიკელების მიერ იყო მოსყიდული.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** სოკ-ის 114-ე სესიაზე, მრავალ სხვა საკითხთან ერთად, ოლიმპიური თამაშების 200 მილიონი დოლარით დაზღვევის შესაძლებლობასაც განიხილავდნენ. სპორტის მმართველი ორგანიზაციის ფინანსების დირექტორს, ტერი სპრანჯერს მიაჩნია, რომ, სავსებით შესაძლებელია, ასეთი იდეა უკვე მომავალი წლიდან განხორციელდეს. სოკ-ის ჩანაფიქრის შესაბამისად, სადაზღვევო კომპენსაციის მიღება შესაძლებელი იქნება მაშინ, თუ საომარი მოქმედებების, ტერორისტული აქტებისა თუ სხვა უბედურების გამო საჭირო გახდება ოლიმპიადების გადადება. ამასთან, საგულისხმოა სპრანჯერის შეშფოთებაც. 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ მომატებულმა რისკმა სადაზღვევო კომპანიებს ორგანიზაციის დაზღვევის სურვილი დაუკარგა. თუმცა, სპრანჯერის აღიარებით, არის ერთი კომპანია, რომელიც მზადაა, ოლიმპიური თამაშები დააზღვიოს, სანაცვლოდ კი სოკ-ს ადრე გათვალისწინებულ 4-6 მილიონ დოლარზე სამჯერ მეტის გადახდა მოუწევს.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** მათ შორის, ვინც ყველაზე მოუთმენლად ელოდა სოკ-ის 114-ე სესიას, ალბათ, ბეისბოლის, სოფტბოლისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაციათა წარმომადგენლები არიან. ინტერესი განაპირობა იმან, რომ მათი სახეობები ოლიმპიური თამაშების ოფიციალური პროგრამიდან ამოღების საშიშროების წინაშე იყო. სამივე ფედერაციის წარმომადგენელთა შიში უსაფუძვლო გამოდგა, ყოველ შემთხვევაში, 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე მაინც. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ოლიმპიური თამაშების პროგრამათა შეცვლის გადაწყვეტილება ათენის ოლიმპიური თამაშების დასრულებამდე გადადო. ამის შესახებ 114-ე სესიის დასკვნით დღეს განაცხადა სოკ-ის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა.

როგის გადაწყვეტილებამდე სამივე ფედერაციის ხელმძღვანელობას, საკუთარი ინტერესების დასაცავად და არგუმენტების მოსაყვანად, ტრიბუნაზე რამდენიმეწუთიანი გამოსვლის საშუალება მიეცა.

### სინემა

კინოთეატრი "ამირანი"

## „მობრძანდით კოლინვუდში"

(აშშ 2002 წელი)



*კადრი ფილმიდან*

Welcome to Collynwood

რეჟისორები: **ენტონი რუსო**
**ჯო რუსო**

მთავარ როლებში: **ჯორჯ კლუნი**
**პატრიცია კლარკსონი**
**ჯენიფერ ესპოზიტო**
**ლუის გუზმანი**

რა უნდა მოიმოქმედო, თუ მთელი ცხოვრება უიღბლო ხარ და არაფერში გიმართლებს?! ანტიკვარის ბინაში უნდა შეიპარო, სადაც სეიფს გატეხავ და ყველა შენს პრობლემას ეშველება. ფილმის გმირები დღედაღამე იმის ცდაში არიან, როგორმე იმ სანატრელ სეიფამდე მიაღწიონ, მაგრამ ჩანაფიქრის განხორციელებაში ხან რა უშლით ხელს და ხან – რა. ყველაზე დიდი დაბრკოლება კი, მაინც საკუთარი უიღბლობაა. რაც უფრო ბევრს ცდილობენ მთავარი გმირები, მით უფრო სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე.

ეს ფილმი თავისი სიუჟეტით, ძალიან ახლოს დგას ჩვენში პოპულარულ სურათთან "ძარცვა იტალიურად". შეიძლება ითქვას, რომ ამერიკულ ვარიანტში ზოგიერთი ეპიზოდი პირდაპირ ამ ძველი იტალიური კინოლენტიდან არის ნასესხები. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ "კოლინვუდის" ავტორებს იტალიელების თავგადასავლის ამერიკულ ნიადაგზე გადმოტანა სურდათ. თუ ამ ორ ფილმს ერთმანეთს შევადარებთ, ევროპული ნაწარმოები დახვეწილი იუმორით, აშკარად სჯობს თავის ამერიკელ ძმას. თუმცა, იმასაც ვერ ვიტყვით, რომ "მობრძანდით კოლინვუდში" ცუდი ფილმია, უბრალოდ იგი ასოციალურია. თუ იტალიურ სურათში კონკრეტული ფენების ცხოვრების წესს დასცინიან (მაგალითად, იგივე მაფიის), ამერიკულ ვარიანტში მხოლოდ და მხოლოდ ხუთი უიღბლო ადამიანია ნაჩვენები, რომლებიც დანაშაულზე იმიტომ მიდიან, რომ ცხოვრებამ მთლიანად შეაქცია მათ ზურგი და არსებობისთვის სხვა გამოსავალი არ დარჩათ. ეს კი, დღევანდელ ქართულ სინამდვილეში არცთუ ისე სასაცილოდ მოჩანს.

თუმცა, ძალიან ბევრი კრიტიკა რომ არ გამოგვივიდეს, ისიც სათქმელია, რომ ფილმი სხვადასხვა ორიგინალური მიგნებების ხარჯზე, მაყურებელს აუცილებლად მხიარულ განწყობას შეუქმნის, მიუხედავად ჰოლივუდისთვის არატრადიციული ფინალისა.

ერთი-ორი სიტყვა ჯორჯ კლუნზეც ვთქვათ. იგი ამ ფილმის პროდიუსერად და ამავდროულად, მსახიობად გვევლინება. ფილმში მისი თამაში ეპიზოდურ ხასიათს ატარებს და მისი გვარი უფრო სარეკლამო სატყუარას ჰგავს, რათა ფილმმა რაც შეიძლება ბევრი ადამიანი მიიზიდოს.

*არჩილ მელიქიშვილი*

### კალენდარი



## 1 დეკემბერი

ეს არის კაცი, რომელსაც იუმორის გრძნობა ასაკის მატებასთან ერთად უმძაფრდება. მას ალენ სტიუარტ კონგსბერგი ჰქვია და 1935 წლის 1 დეკემბერს დაიბადა. თუმცა, სახელი, რომლითაც მთელმა მსოფლიომ გაიცნო 1952 წელს დაირქვა: ვუდი ალენი უფრო შესაფერისი სახელი აღმოჩნდა იმ სასაცილო, ნიჭიერი და ახირებული პერსონაჟისთვის, რომლის განსახიერებასაც ნიუ იორკელი ებრაელი ბიჭი მომავალში აპირებდა.

მას მთელი მსოფლიო იცნობს, როგორც დიდ რეჟისორს, მაგრამ ვუდი ალენი ასევე გახლავთ: არაჩვეულებრივი წერილების ავტორი, იუმორისტი, კლარნეტისტი და მშვენიერი ცოლების (ჰარლინ როზენი, ლოის ლასერი, დაიან კიტონი, მია ფეროუ, სუნ-ი პრევინი) კოლექციონერი. ხანდახან მიჰყავდა სატელევიზიო "შუაღამის შოუ", დგამდა სპექტაკლებს ბროდვეიზე, წერდა სცენარებს ტელე-გადაცემებისთვის, წერდა კომიქსებს, რომლებიც 180 გაზეთში იბეჭდებოდა, აპროტესტებდა აპართეიდს აფრიკაში და სასტიკად კრძალავდა თავისი ფილმების იქ ჩვენებას, დასცინოდა და დღემდე დასცინის ჰოლივუდს და, რაც მთავარია, დღემდე გიჟდება ნიუ იორკზე...

ამბობდა და ქვეყანას აცინებდა:

*"სწრაფი კითხვის კურსებს გავდიოდი და "ომი და მშვიდობა" ოც წუთში წავიკითხე. ის რუსეთზეა".*

*"არასდროს შევჭამ ხამანწკებს. მე მინდა, ჩემი საჭმელი მკვდარი იყოს. არც ავადმყოფი, არც დაჭრილი, მხოლოდ მკვდარი".*

*"ვაგნერს დიდხანს ვერ ვუსმენ. მაშინვე პოლონეთის დაპყრობა მინდება".*

*"რა იქნება, არაფერი რომ არ არსებობდეს და ჩვენ ყველანი მხოლოდ ვილაცის სიზმარი ვიყოთ? ანდა, კიდევ უარესი – მხოლოდ ის მსუქანი კაცი რომ იყოს რეალური, მესამე რიგში რომ ზის".*

*"ამერიკაში ორგანიზებული კრიმინალის შემოსავალი ყოველწლიურად 40 მილიარდ დოლარს აღემატება, მაგრამ ძალიან ცოტა იხარჯება საოფისე აღჭურვილობაზე".*

*"თქვენთვის შეიძლება ათეისტი ვიყო, ღმერთისთვის კი ერთგული ოპოზიციონერი ვარ".*

**ვუდი ალენი** დღეს 67 წლის გახდა და თავის დაბადების დღეს ირონიისა და უცნაური იუმორის მორიგი ნაყოფით – ფილმით "ჰოლივუდური დასასრული" შეხვდა. ისე, არავინ იცის, როგორ აღნიშნავს რეჟისორი საკუთარ იუბილეს დღეს. ალენი ხომ მთელ ჰოლივუდში ყველაზე უცნაური კაცია, რომელიც არც საკუთარი დაჯილდოების ცერემონიალებზე დადის. გახსოვთ, 1978 წელი? ალენის ფილმმა "ენი ჰოლმა" ოთხი "ოსკარი" (საუკეთესო ფილმი, სცენარი, რეჟისორი და მსახიობი) მოიპოვა, მაგრამ დაჯილდოების საღამოს რეჟისორმა ჩვეულებას არ უღალატა, ორშაბათი დღის გრაფიკი არ შეცვალა და "ოსკარის" ცერემონიალის ნაცვლად თავის საყვარელ პაბში, "მაიქლზ"-ში წავიდა, რათა თავის ბენდთან – New Orleans Funeral and Ragtime Orchestra-სთან ერთად კლარნეტზე დაეკრა. მსგავსი ახირებული მიზეზის გამო, შეიძლება ალენმა საკუთარი დაბადების დღისთვის ვერც დღეს მოიცალოს.

# შეიგრძენით უბრალოება

### დიზაინერთა კავშირი ფოტომოყვარულებს მასპინძლობს

ნანა ბასილაშვილი

საქართველოს დიზაინერთა კავშირის გალერეაში ფოტომოყვარულთა გამოფენა მიმდინარეობს. გახსნის დღეს გამოფენას უამრავი დამთვალიერებელი ესტუმრა. აქ ბევრ ნაცნობ სახესაც ნახავდით (ბაკურ ბურდულს, ავთო ცქვიტინიძეს, ნეკა სებიკვერაძეს...) გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ფოტოსურათების დასათვალიერებლად ცოცხალი რიგი გაჩნდა.

უზარმაზარი შუშებიანი გალერეის კედლებზე შავ-თეთრი და ფერადი ფოტოები ეკიდა. საგამოფენო დარბაზი მოყვარულ ფოტოგრაფებს - მაკა ნოსელიძესა და თამარ ბოკუჩავას, მოქანდაკე გია ჯაფარიძემ გაუფორმა. გალერეაში მისი რამოდენიმე საინტერესო ქანდაკებაც იდგა.

შეიგრძენით უბრალოებაო, - ამისაკენ მოუწოდებდნენ საკუთარი შემოქმედებით სტუმრებს ფოტომოყვარულები. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც პირადი ინტერესებისა და სურვილების მიხედვით კი არ მუშაობენ, უბრალოდ, ამა თუ იმ სიტუაციას აფიქსირებენ; ლამაზი, საინტერესო, ბუნებრივი სცენები - განწყობის, ხასიათისა და ემოციის მიხედვით, თანამედროვე ტექნიკის საშუალებით ქაღალდზე გადმოაქვთ.

თამარ ბოკუჩავა პროფესიით მარკეტოლოგი გახლავთ. იგი ფოტოხელოვნებით პირველად ხუთი წლის წინათ დაინტერესდა. სამხრეთ აფრიკაში, პერუში, ბარბადოსში, ინგლისსა და იტალიაში მოგზაურობისას ნელ-ნელა ფოტოგრაფიამ გაიტაცა. ალბათ, ამანაც განაპირობა, რომ გალერეაში გამოფენილი ნამუშევრები უფრო ტურისტული ჩანახატების ხასიათს ატარებს. "მოგზაურობის დროს გამიჩნდა სურვილი, გადამეღო. მე მხოლოდ დინამიურ ფოტოებს ვიღებ, თითოეული ნამუშევარი რაღაც ემოციას იწვევს ჩემში, ყველა ფოტოს თავისი სათაური აქვს, მაგრამ მნახველისათვის ისინი უსათაუროდ გამოვფინეთ, რადგანაც გვსურს, მნახველმა მისეულად აღიქვას და შეიგრძნოს", - უკვე მერამდენედ ამბობდა თამარ ბოკუჩავა.

ემოციურად დატვირთული, ძირითადად, შავ-თეთრი ფოტოები განსხვავებულ განწყობას ქმნის. მაკა ნოსელიძე თითქოს საკუთარი თავის ძიებაშია. მის ნამუშევრებში მარტოობის თემა გამოიხატება ცარიელი სკამებით, ცალ-ცალკე მჯდომი ქალითა და მამაკაცით და ა.შ.. "ვიღებ მხოლოდ ჩემთვის, ძირითადი მიმართულება არ მაქვს, მიყვარს პორტრეტებზე მუშაობა, გამოფენაზე არც კი მიფიქრია, უბრალოდ, ჩემს სამასხურში შემომთავაზეს ეს იდეა და თვითონვე დაგვასპონსორეს", - გვითხრა მაკა ნოსელიძემ.





*ნანა მოსელიძე და თამარ ბოკუჩავა*

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, თამარმაც და მაკამაც, თითქმის, ერთი და იგივე პასუხი გამცეს; გამოფენების მოწყობის ამბიცია არ გვაქვს, კვლავინდებურად განვაგრძობთ ჩვენთვის მუშაობას, გადავიღებთ, როცა ამის საშუალება გვექნება და შევეცდებით, კიდევ უფრო დავიხვეწოთო.

დიზაინერთა კავშირში წარმოდგენილი ფოტოგამოფენა "მაკდონალდსის" მიერაა ორგანიზებული. გამოფენა კიდევ რამოდენიმე დღეს გასტანს.

# მეორე გამარჯვება

*პარასკევს საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზში ქართული ფოლკლორის დისკის პრეზენტაცია გაიმართა. სერიას "ლიტერატურა თანამედროვე კარცერ-ლუქსისთვის"; მეორე, ელექტრონული წიგნი "ქართული ფოლკლორი" შეემატა. ორივე წიგნის იდეის ავტორი "პირველი ელექტრონული გამომცემლობაა".*

სალომე ნიკოლეიშვილი

წიგნი ენციკლოპედიური ხასიათისაა და შეიცავს ქართული ლიტერატურული და მუსიკალური ფოლკლორის ავთენტურ, არასტილიზებულ ნიმუშებს. გამოყენებულია ქართული ყოფის, საწესჩვეულებო და რელიგიური ხასიათის რიტუალების ამსახველი უნიკალური ფოტო, აუდიო და ვიდეო მასალები.

"ეს არის მეორე გამარჯვება", - ასე დაიწყო საკუთარი გამოსვლა საღამოს წამყვანმა, ცნობილმა ფოლკლორისტმა ვახუშტი კოტეტიშვილმა. "უნდა ვთქვა, რომ დღევანდელი დღე მიმაჩნია ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დღედ ჩვენი სულიერების მომავლისათვის. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ფოლკლორი, ხალხური შემოქმედება არის ერის განუსაზღვრელი სულიერი კულტურა. ჩვენს ფოლკლორს იმდენად ღრმად აქვს ფესვები გადგმული და ისეთ სიმაღლეზეა ასული, რომ მხოლოდ და მხოლოდ ის შემოქმედი აღწევს უმაღლეს მწვერვალს, ვინც იმ ხალხური ფესვებიდან ამოდის".

პრეზენტაციას საკმაოდ მრავალრიცხოვანი აუდიტორია დაესწრო. ცხადია, ყველას აინტერესებდა ახალი სახით შექმნილი ქართული ფოლკლორის ხილვა. შუქი ჩაქრა და ეკრანზეც ძველი საქართველო გაცოცხლდა თავისი ისტორიით. "ელექტრონული წიგნი" რამდენიმე განყოფილებას აერთიანებს: პოეზია, ზღაპრები, ლეგენდები, ანდაზები, ვიდეოთეკა, აუდიოთეკა, საყმაწვილო, რამ დამაბერა. აქვეა ინფორმაცია პროექტის შესახებ, სადაც მნახველს შეუძლია გაიგოს, რა არის საერთოდ ფოლკლორი და როგორ ხდება მისი შექმნა. პრეზენტაციაზე წარმოადგინეს ნაწყვეტები ხალხური შემოქმედების ახალი კრებულიდან. ხალხური მელოდიების თანხლებით აქ მოისმნედით ლექსთა მთქმელთა მიერ ბრწყინვალედ წაკითხულ პოეტურ შედევრებს, ყველაზე დიდი გაოცება გამოიწვია ვიდეოთეკამ, რომელშიც დოკუმენტური ფილმის სახით იყო ნაჩვენები ძველი კადრები მთის ხალხის, კერძოდ, ხევსურების ცხოვრებისა – როგორ ქსოვენ ფარდაგს, როგორ ართავენ ძაფს, როგორ თამაშობენ ბავშვები და ა.შ. ჩვენების დამთავრების შემდეგ საკუთარი აზრი გამოთქვა მაყურებელმაც, რომლებიც ძირითადად, მადლობას უხდიდნენ პროექტის ავტორებსა და შემოქმედებით კოლექტივს, რომელთაც თანამედროვე საზოგადოებისთვის, ჩვენი სულიერი კულტურის ასეთი მატიანე შექმნეს. გამოითქვა აზრი, რომ სასწავლო დაწესებულებებში, ფოლკლორის კურსი სწორედ ამ დისკის მეშვეობით შეასწავლონ: "ეს უკვე შესაძლებლობას გვაძლევს, ჩვენი ახალგაზრდების ხუშტურებს ავყვეთ და ასე შევაპაროთ ჩვენი ერის ეს დიდი საგანძური. ბავშვებიც ამას დიდი სიამოვნებით მიიღებენ. ეს არის ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში ახალი ერის დასაწყისი", - თქვა ვახუშტი კოტეტიშვილმა.

"ქართული ფოლკლორიც", ისევე როგორც გამომცემლობის პირველი ნამუშევარი "გალაკტიონი" შეგიძლიათ თბილისის ცენტრში მდებარე თითქმის ყველა წიგნის მაღაზიასა და სუპერმარკეტში შეიძინოთ.




*დისკის გარეკანი*

## „მარტოობის ასი წელიწადი"...

ლონდონში, "კრისტის" აუქციონზე გაბრიელ გარსია მარკესის ხელით ჩასწორებული და წარწერით დამშვენებული "მარტოობის ასი წელიწადი" არავინ იყიდა. დაახლოებით, ერთი წლის წინათ ის ვერც "სუბასტას ველასკოზე" გაიყიდა – მაშინ მისი საწყისი ფასი 500 ათასი ევრო იყო. ლონდონში ფასი ჯერ 320, შემდეგ კი 200 ათას ევრომდე დაწიეს – ყიდვის მსურველი მაინც არ გამოჩენილა.

თავად ექსპონატი პირადად მარკესის 1026 ჩასწორებას შეიცავს. ავტორმა თავისი ნაშრომი გულთბილი სიტყვებით უძღვნა მეგობრებს – ესპანელ კინორეჟისორ ლუის ალკორისს და მის მეუღლეს. რომანის ეს პირი განსაკუთრებულ ფასეულობას იმიტომაც წარმოადგენს, რომ "მარტოობის ასი წელიწადის" ხელნაწერი აღარ არსებობს და ის იუნესკოს მიერ კულტურის იშვიათ ძეგლადაა აღიარებული.

## Brit Awards-ის ლეგენდა ტომ ჯონსი

ტრადიციისამებრ, ბრიტანული მუსიკალური სამყაროს ხმაურიანი დაჯილდოვების ცერემონიის ნომინანტებიდან ყველაზე ადრე განსაკუთრებული, ღვაწლმოსილი მუსიკოსის ვინაობას გვიმხელენ ხოლმე. ასეა წელსაც - Brit Awards-ის მორიგი რჩეული იქნება ტომ ჯონსი, რომელსაც "ბრიტანული მუსიკის განვითარებაში" გაწეული ღვაწლისთვის დააჯილდოვებენ. დაჯილდოვების ცერემონია მომავალ წელს, 20 თებერვალს გაიმართება.

"ტომ ჯონსი – ერთ-ერთი უდიდესი ინგლისელი მომღერალია, რომელსაც ყველა სტილისა და ჟანრის მუსიკოსი პატივს სცემს", - თქვა დაჯილდოვების ცერემონიის თავკაცმა ტონი ვოდსვორთმა ჯილდოს მომავალი მფლობელის წარდგენისას. შეგახსენებთ, რომ აქამდე ბრიტანულ მუსიკაში გაწეული ღვაწლისთვის დაჯილდოვდნენ ისეთი სახელმოხვეჭილი მუსიკოსები და კოლექტივები, როგორებიც არიან: U2, სტინგი, დევიდ ბოუი, ელტონ ჯონი და The Who.

"ოჰ, არაჩვეულებრივი ამბავია. არ შემიძლია ამ სიხარულის ენით გამოთქმა", - ასეთი იყო 62 წლის ვარსკვლავის, თავად ტომ ჯონსის რეაქცია ცერემონიის ორგანიზატორების გადაწყვეტილებაზე. ტომ ჯონსის კარიერა 1964 წლიდან იწყება. განსხვავებული ხმისა და მექალთანეს იმიჯის წყალობით, ჯონსი მალე გახდა პოპულარული როგორც დიდ ბრიტანეთში, ისე მის ფარგლებს მიღმა. ტომ ჯონსის კონცერტებზე მუსიკოსს ქალბატონები სცენაზე საცვლებსაც კი ესროდნენ. მომღერლის პოპულარობა სულ უფრო იზრდებოდა - 70-იანების დასაწყისში მისი გაყიდული დისკების რაოდენობამ 30 მილიონს გადააჭარბა.

80-90-იანებში მუსიკოსის კარიერა დაღმა დაეშვა. მაგრამ 2000 წელს გამოშვებულმა ალბომმა (Reload), სადაც კლასიკური პოპ და როკ კომპოზიციების ქავერ-ვერსიები შევიდა და თანამედროვე ვარსკვლავებთან შესრულებულმა დუეტებმა, მუსიკალური საზოგადოების დიდ ნაწილს ტომ ჯონსისადმი ინტერესი გაუღვივა. სხვათა შორის, ამ ალბომისთვის ტომ ჯონსმა, როგორც საუკეთესო სოლო-შემსრულებელმა.პირველი Brit Awards აიღო.



## ბინები

### იყიდება

სასწრაფოდ იყიდება 3-ოთახიანი, არასტანდარტული, 132 კვ.მ ბინა ჩიქოვანის 18-ში, V კორპ., ბინა 34, I სართ. ფას: 18000$. ტელ: 98-40-41.

შევიძენ ჩეხურ 2-ოთახიან, გარემონტებულ ბინას 4 500-ის ფარგლებში მე-2-5 სართულებზე ვარკეთილისა ან ვაზისუბნის მიდამოებში. 77 75 73

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000. 8(93) 202767

იყიდება 2-ოთახიანი (გადაკ. 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი კუთხის ბინა. მე-9 სართულზე, საბურთალო, ზაქარიაძის №1 (მ. დელისის უკან) 100 კვ.მ., 3 აივნით, 2 ტუალეტით. 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/აირით, მუდმივი შუქით. ს/ფ 37 000.
ტელ: 69-64-27 ბელა 39-53-41 მარინა 877 495-490

იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული ბინა ალმაშენებელზე. 96 30 33

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის N18. 38-30-62, 8(99)55-04-48

იყიდება ორთაჭალაში 2-სართულიანი აგურის შენობა (750 კვ.მ.) სარდაფით, დიდი მიწის ნაკვეთით. 75 53 55

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**
სახლი ალმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

## კომერციული ფართი

ქირავდება 280 კვ.მ პრესტიჟული საოფისე ფართი ალმაშენებლის გამზირზე. ტელ: 95-42-91; 877 414956

იყიდება 90 კვ.მ. კომერციული ფართი 200 კვ.მ. სარდაფით საბჭოს მოედანზე 27 000-ად. 77 19 40, 92 24 64 ტარიელი

## მანქანები

სასწრაფოდ იყიდება 1991 წლის ფოსფორისფერი "ფორდ-ესკორტი" იდეალურ მდგომარეობაში ძრავა – 1,4; ეკონომიური (წვა – 6ლ 100 კილომეტრზე). ფასი – 2500 დოლარი. ტელ: 899 50 30 13, მაია.

იყიდება "ოპელ-ომეგა" (ფურგონი) 1991 წლის, კარგ მდგომარეობაში - 2100-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!).
ტელ: 8(24) 153814, 8(24) 1798 95

სასწრაფოდ და იაფად იყიდება "07" და "ტავრია". 63-29-26

## სწავლება

მოვამზადებ მათემატიკაში. I-VI კლასელებს კი ყველა საგანში მაქსიმალური შედეგის გარანტიით. 37 32 18 მარინა

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 სალამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

იყიდება 500 ლიტრიანი აკვარიუმი (1,20X0,85) მ; იტალიური ფილტრით, თევზებით და ყველანაირი გაფორმებით. ტელ: 34-58-67.

იყიდება პოლონური პიანინო "Legnica". 30 28 64 მარინა

ჰომეოპათი-ნევროპათოლოგი მკურნალობს ნევროზს, შიშს, შაკიკს. თევდორე მღვდლის 11. საგზაო პოლიკლინიკა, 23-ე კაბინეტი. 13.00-15.00. 39 47 28

ვთარგმნი ინგლისურიდან, გერმანულიდან, რუსულიდან ქართულად შეღავათიან ფასში. 75 53 55, 8(93) 39 82 84

მერქნის დახერხვა, გამოხარშვა, გამოშრობა ევროსტანდარტით. 8(99) 18 20 28

წინასარემონტო სამუშაოები დიზაინერთან ერთად. 22 06 22

ვიწვევთ სამუშაოდ სამორინეში გოგონებს 18-დან 25 წლამდე. 8(99) 28 83 93

ფირმა "ზაისადის" უმაღლესი ხარისხის მაკარონები და "პეჩენიები" საბითუმო ფასებში. 35 16 71, 8(77) 42 21 53

საფირმო სალონი "მაუდი" იწვევს დისტრიბუტორებს, რეალიზატორებს, გამყიდველ გოგონებს. ა. წერეთლის გამზ. 140. 34 89 46

საუკეთესო საჩუქარი საყვარელი ქალისათვის. 62 59 09 ნანა.

**გთავაზობთ** წიგნების, ჟურნალების, ბროშურების აკრეფვა-დაკაბადონებას, გაფორმებას, სავიზიტო ბარათების, ბლანკების დამზადებას, სხვადასხვა პოლიგრაფიულ მომსახურეობას.
მის. ი.ჭავჭავაძის №74, IX სართ. ოთახი - 908.
Tel/Fax: 25-35-48, 23-53-69

**სადილი ყველას**

შაბათს, 7 დეკემბერს "კათარზისში" კვლავ ღია კარის დღეა, ანუ ნებისმიერ მსურველს შეუძლია 12-დან 17 საათამდე მოვიდეს სათნოების სახლში და აქ, ადგილზე მიირთვას ცხელი გემრიელი სადილი.
**დარეკეთ 11-დან 17-საათამდე 95-16-46.**
**დავით ალმაშენებლის 121.**

**თბილისის სახელმწიფო აკადემიის**
**პიტოთერაპიული კლინიკა მკურნალობს:**
1. ქოლეცისტიტი - მწვავე, ქრონიკული (ნაღვლის ბუშტის გამორეცხვა ზონდირების გარეშე, ჩირქი, მარილები, ბილიარული სიმკვრივე);
2. ფილტვების გასუფთავება ლორწოსაგან აქტიურ და პასიურ მწეველებში;
3. თირკმელებში ცილა, სილა, კენჭი, ჩირქი;
4. მაგნიტური ტალღების და კომპიუტერული სისტემების უარყოფითი გავლენის მოხსნა.
**ტელ:** 25-31-83, მაია
**მის:** მე-9 საავადმყოფოს ყელ-ყურ-ცხვირის კლინიკა, I სართული

**შეგასწავლით!**
კომპიუტერზე საოფისე პროგრამებს ინდივიდუალურად (WINDOWS, Word, Exell, Internet), ფასი 60 ლარი, ჭავჭავაძის 74, მე-9 სართ. 908 ოთახი.
ტელ: 25-35-48, 23-53-69 - თამილა.

ფირმა "ულტრა-დომუს"-ი გთავაზობთ:
- პროექტირებას,
- დიზაინს,
- მშენებლობას.
ტელ: 23-36-58; 94-13-34; 893 347536

ფირმების რეგისტრაცია. ბუკლეტები, სავიზიტო ბარათები, პლაკატები.
ტელ: 95-39-97
მარჯანიშვილის 21, მე-4 სართული.

**განცხადება**

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმის ბაზაზე იხსნება სამხატვრო სკოლა-სტუდია:

- **სკოლის მოსწავლეთათვის:**
ფერწერა, ხატვა, ქანდაკება, კომპოზიცია, გობელენი, მოდელირება, კომპიუტერული გრაფიკა, მულტიპლიკაცია, დიზაინი, არქიტექტურა, ხატწერა, რესტავრაცია, რელიგიისა და ხელოვნების ისტორია.
- **აბიტურიენტებისათვის:**
მოსამზადებელი ჯგუფი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შესასვლელად (მიზნობრივი სწავლება).

სკოლა სტუდიის მოსწავლეები სისტემატიურად მიიღებენ მონაწილეობას საერთაშრისო და რესპუბლიკურ გამოფენებში. სასწავლო წლის ბოლოს მოეწყობა საზაფხულო შემოქმედებითი ბანაკი.
მოსწავლეები იმუშავებენ სამხატვრო სახელოსნოში და კომპიუტერულ კლასში.
სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით, მუდმივი დენით, მუშაობს ბუფეტი.
მეცადინეობა ჩატარდება კვირაში სამჯერ 15.00 საათზე.
მოსწავლეთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან.
სწავლა დაიწყებულია. მიღება გრძელდება.

**მისამართი:** ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
**ტელეფონი:** 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა ლიცეუმი.













## აფიშა

### საკონცერტო დარბაზები

- **ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
ზაურ ბოლქვაძის შემოქმედებითი საღამო
დას: 16:00 სთ; ფასი 6-15 ლარი

### თეატრები

- **რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.
- **ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
სეზარ პენი "მარკიტანტი ქალი", რეჟ. თამაზ ჯაფარიძე
დას: 12:00 სთ
- **თეატრალური სარდაფი**
"უსიერ ტყეში", რეჟ. ნინო შოთაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი
- **თავისუფალი თეატრი**
"კომედიანტები", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი
- **ახმეტელის თეატრი**
"ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები", რეჟ. დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ, ფასი 2,3 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

- **ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)
- **TMS**
ქეთი იაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
- **„ქარვასლა„**
გიორგი მასხარაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
ანტონ ბალანჩივაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
- **ძველი გალერეა**
გოგა ჯაფარიძის ფერწერული ნამუშევრების გამოფენა
- **გალერეა „ჰობი„**
"ტროპიზმი-4", ბესო ქართველიშვილის, ლაშა წიწიკაშვილისა და გიგა ხუტაშურის ნამუშევრების გამოფენა
ქართველ მხატვართა ნამუშევრების ჯგუფური გამოფენა "ჩვენი პალიტრა"

### კინოთეატრები

- **„ამირანი„**
მულტიპლიკაციური ფილმი "სპირიტი"
დას: 12:00; 14:00; 16:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მობრძანდით კოლინვუდში", პროდიუსერები: სტივენ სოდერბერგი, ჯორჯ კლუნი; რეჟ. ჯოზეფ რუსო
დას: 18:00 სთ, ფასი 6 ლარი
"წითელი ურჩხული", რეჟ. ბრედ რატნერი
დას: 20:00; 22:00 სთ, ფასი 7 ლარი
- **„რუსთაველი„**
"სათამაშო ისტორია 2", რეჟ. ეშ ბრენონი, ჯონ ლესეტერი
დას: 13:00; 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ფორმულა 51", რეჟ. ბონი იუ
დას: 17:00; 21:30 სთ. ფასი 5,7 ლარი
"დაგმობილი გზა", რეჟ. სემ მენდესი, მთავარ როლებში: ტომ ჰენქსი, პოლ ნიუმანი, ჯუდ ლო
დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
- **„ელისო„**
"სათამაშო ისტორია 2", რეჟ. ეშ ბრენონი, ჯონ ლესეტერი
დას: 13:00; 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ფორმულა 51",რეჟ. ბონი იუ
დას: 19:00 სთ, ფასი 5 ლარი
"გაქცევა ელისეის მინდვრებიდან"
დას: 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

## სკანდინავიური კროსვორდი



Image CENTRE
ევროპული ტანსაცმლის სალონი და მოდელების სააგენტო
"იმიჯ-ცენტრი"





# ლიზი ჩიტაძე: "მე განწყობის ადამიანი ვარ"

ამ კვირის გამარჯვებული ლიზი ჩიტაძეა, 24 წლის ფოტომოდელი და მანეკენი. მისი გარეგნული მონაცემები ორივე საქმიანობას აკმაყოფილებს: სიმაღლით მეტრი და ოთხმოცდაერთი სანტიმეტრია, მკერდისა და თეძოს გარშემოწერილობაც სტანდარტული აქვს. წელი ორი სანტიმეტრით მეტი მაქვსო, რომ მითხრა, გაოცებულმა შევავლე თვალი. ნუთუ ოდრი ჰეპბერნს უფრო წვრილი წელი ჰქონდა-მეთქი, - გავიფიქრე.

ლიზი ზოდიაქოთი სასწორია, დელიკატური ბუნების და ორმხრივად განწყობის ადამიანი. "ჩემს განწყობაზე ერთი სიტყვაც მოქმედებს". თუ მოინდომებს, თავად შეუძლია, ცენტრში მოექცეს, შეცვალოს საზოგადოების განწყობა. ზოგჯერ ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს, გააჩნია, როგორ გუნებაზეა. "განწყობა სწრაფად მეცვლება. თუ რამის გაკეთება არ მინდა, თავს არ ვაიძულებ", - ამბობს ლიზი, რომელიც ფოტომოდელია და მანეკენი, ესე იგი, განწყობის მიუხედავად, მაინც უნდა გააკეთოს ის, "რაც სჭირდებათ". "ჩემი ცვალებადი განწყობა არ ეხება საქმეს - სტუდიაში ან პოდიუმზე ყოველთვის მზად ვარ, გავაკეთო ჩემი საქმე, რომელიც ძალიან მიყვარს".

ლიზი სტუდენტობისას გამოვიდა პოდიუმზე, მანამდე კი არავითარი სასცენო გამოცდილება არ ჰქონია. საკმაოდ დიდხანს თავის აღნაგობას "მალავდა" კიდეც, უხერხულობისგან მხრებში იხრებოდა, რომ თანატოლებში არ გამორჩეულიყო. "იმიჯ-ცენტრში" დისკო-კლუბ "16 რაუნდიდან" მოხვდა - მეგობრებთან ერთად იყო. ია კიწმარიშვილმა იქ შენიშნა და ცენტრში "ბედის საცდელად" მიიწვია.

ახლა ლიზი "იმიჯ-ცენტრის" კონტრაქტირებული მოდელია და მისი მომავალი სააგენტოზეა დამოკიდებული. ლიზი თვლის, რომ საქართველოში ფოტომოდელს მცირე ასპარეზი აქვს, ამიტომ საზღვარგარეთ წასვლაზე ოცნებობს. "არ ვიცი, 20-30 წლის შემდეგ რა მომინდება, შეიძლება, საკუთარი სტუდიაც გავხსნა. ახლა და კიდევ დიდხანს მხოლოდ მოდელობა მინდა", - ამბობს ლიზი.

ის ძალიან მომხიბვლელია, საუბარში მშვიდად ემოციური და ისეთი გაწონასწორებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, მისი ცვალებადი ხასიათი გეეჭვება კიდეც. შეუძლია, ყველანაირი სტილის ტანსაცმელი "შეიფეროს", მაგრამ ყოველდღიურ სახმარად ჯინსსა და დაბალქუსლიან ფეხსაცმელს არჩევს, როგორც თითქმის ყველა მაღალი და ათასგვარი ტანსაცმლით გაბეზრებული მანეკენი. უყვარს ცივი სუნამოები – "ჰერერა" და კაშარელის "ნოა".

"დრო გასართობადაც მყოფნის, საცეკვაოდ, მეგობრებთან ურთიერთობისთვის. მაგრამ, თუ საჭირო იქნება, მზად ვარ, საქმეს მთელი დროც დავუთმო. მოდელობა ჩემი ცხოვრების მთავარი ინტერესია", - თქვა ლიზი ჩიტაძემ.






## TV პროგრამა 1 ნოემბერი

### რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.20 მულტსერიალი
10.50 სერიალი "სამნი"
11.50 ველური ბუნება
12.50 მხ.ფილმი
14.35 სიმფსონები
15.05 მხ. ფილმი
17.00 სერიალი "ჩინელი პოლიციელი"
18.00, 21.00, 23.40 კურიერი
18.20 მხ. ფილმი
20.00 სუფთა ინგლისური მკვლელობა
21.25 ჩვენი ეზო
21.45 "ჯეოსელის კინოკლუბი" - "ამერიკული ნამცხვარი 2" 8 77 45-79-25 ჯეისონ ბიგზი, შენონ ელიზაბეტი, "ტურბულენტურობა" 8 77 45-79-26 ლორენ ჰოლი, რეი ლიოტა, "ჯონ კიუ" 8 77 45-79-27 დენზელ ვაშინგტონი, რობერტ დიუვალი
23.50 მხ.ფ. "მულენ რუ:ი" მთ. როლებში ნიკოლ კიდმანი, ევან მაკგრეგორი
02.00 კლასიკა.

### პირველი არხი

08.00 "მოამბე"
08.15 მხ. ფილმი "სილამაზის სალონი "ვენერა"
10.00 დილის პაემანი
11.05 "ამბები ჩვენზე"
11.35 ლიტერატურული გადაცემა
12.05 "სპა"
12.35 "პრეს-სტუდია"
13.25 მოსკოვი-თბილისი
13.55 "ღამის ჯაზი"
14.25 "არათბილისური ამბები"
15.00 "საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე"
15.20 სპექტაკლი "მწყემსი და მცხოვრები"
15.50 "ოქროს იერუსალემი"
17.00 "საკვირაო გამოფენა"
17.15 მულტფილმი "პრინცესა ნერი"
17.40 "ეძიე ქალი"
18.00 "ტაიმ-აუტი"
18.20 "ჩემპიონი"
18.55 "ეკოდაიჯესტი"
19.25 "ჩვენი მისამართია"
20.00 ტაიმ-აუტი
20.55 "ამბოხენ"
21.25 "რომან რურუა - 60"
22.25 სერიალი "ნაპოლეონი"
23.15 სატელევიზიო კინოდარბაზი "მთიელი"
01.10 "ტაიმ-აუტი"
00.40 მხ. ფილმი "შვილის ოთახი"

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
09.00 "მუსიკალური ათეული" გამეორებით
10.00 "ტოროლა"
13.00 "ვიდეო-რადიო" გამეორებით
14.00 "კომედია" მხ.ფ. "სასაუბრო თემა"
16.00 "უცნობი"
17.00 მუსიკა
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "ვიდეო-რადიო"
21.00 რომანტიკული მუსიკა
22.00 ინფორმატორი
23.00 "ცენტრი"
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ჯოზი და ფისუნები".
01.40 ღამურა "მომკალი ნაზად".
03.10 ნონ-სტოპი

### მეორე არხი

19.00 მხიარული კარუსელი
19.30 დიზაინი
19.50 "მრავალსახეობა"
20.30 ვიცი
21.00 მშვიდობით მე-20 საუკუნევ
21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი "პროვინციალი ქალი"

### ევრიკა

11.00 ცისკრის ზარები
11.05 მუსიკალური კოლაჟი
12.00 თეატრალური შეხვედრები
13.25 თბილისური ოჯახები
14.10 მუსიკა
15.00 მულტფილმი
15.30 საოცარი პირამიდა
17.00 - 19.00 რელიგიის საათი
19.00 დოკ. ფილმი
20.00 შეხვედრა ვარსვლავთან
20.20 მოგზაურობა ბავშვობაში
20.40 თავისუფალი მიკროფონი
20.50 თქვენი აზრით
21.00 დოკ. ფილმი
22.00 "იდენ-ტვ"
22.30 ოაზისი
23.30 მსოფლიო სპორტი

### იბერია

08.00 ახალი ამბები
08.15 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი. მუსიკა
08.30 მხ. ფილმი "ყველაფერში დამნაშავეა რიო"
10.15, 12.30, 21.55, 00.45 მუსიკა
10.20 მხ.ფ. "მატყუარა ვარ"
13.00 გადაცემა - მურადა (განმეორებით)
19.30 დიდი ბრიტანეთი დღეს
20.00 მხ.ფ. "ტრასა-60"
22.15 მხ.ფ. "ადგილები არ არის"
00.50 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი "ჯუმანჯი"
13.30 მხ. ფილმი "ბრილიანტის პოლიციელი"
15.10 მხ. ფილმი "დოქტორ მოროს კუნძული"
16.50 მხ. ფილმი "უკიდურესი ზომები"
19.00 ინდ. მხ. ფილმი "შესანიშნავი შვიდეული"
22.00 მხ. ფილმი "ზოროს ნიღაბი"
00.20 მხ. ფილმი "ცხრანახევარი კვირა"

### მეცხრე არხი

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი"
10.45, 15.30, 16.45, 21.40, 23.45 მუსიკა
11.00 მხ. ფილმი "პოლონური ქორწინება"
13.10 მულტფილმი "ზღაპარი მზეთუნახავსა და მხეცზე"
14.00 მხ. ფილმი "ზვიგენის თადასხმა 2"
15.50 მულტფილმი "ქალთევზა"
16.55 მხ. ფილმი "თეთრი ვიკინგი"
18.00 დოკ. ფილმი "ეს სანახაობაა"
19.30 "მსოფლიო ფეხბურთი"
20.00 ქართ. მხ. ფილმი "ცისფერი მთები"
22.00 მხ. ფილმი "კარიერა"
00.00 მხ. ფილმი "მომაკვდინებელი მთვარე"

### აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ქართული მხატვრული ფილმი
10.30 "ყველანი ვართ პატარები"
10.40 "Слово"
11.20 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 სათავგადასავლო ფილმი "მსუბუქი კავალერია"
14.00 კომედია "ძუნწი"
16.10 მულტფილმი "ბუფი და მისი მეგობრები"
17.15 კომედია "ოპერაცია "ი" და შურიკის სხვა თავგადასავლები"
19.20 დოკუმენტური ფილმი
20.20 ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი
22.30 "Новости в воскресенье"
23.00 დოკუმენტური ფილმი
00.30 "Новости в воскресенье"
01.00 მხატვრული ფილმი "სამი ისტორია"
03.30 მელოდრამა "ზამთრის ალუბალი"

### VII არხი

18.00,19.30,01.30 ანონსი
18.05,21.50 ამინდის პროგნოზი
18.20 "ლა-ლა-ლა"
19.00 "აჩიკუდა"
19.20 "ავტოტრეკინგი"
20.00 "სახლიდან გაუსვლელად"
20.30 "კინოკლუბი " - "მუდამ ახალგაზრდა"
22.05 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები
22.40 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
23.00 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
00.50 "სახლიდან გაუსვლელად"
01.25 მელოდია
01.40 "სახლიდან გაუსვლელად"

### ОРТ

08.00, 11.00, 15.00 Новости
08.10 Сериал "Флиппер"
09.00 Мультфильм
09.20 Армейский магазин
09.45 Дисней-клуб: "Тимон и Пумба"
10.10 Дог-шоу
11.10 "Непутевые заметки" с Дм.Крыловым
11.30 Пока все дома
12.05 "Властелин вкуса"
13.00 Комедия "ЗА ДВУМЯ ЗАЙЦАМИ"
14.30 Дисней-клуб: "Утиные истории"
15.15 Умницы и умники
15.40 "Клуб путешественников"
16.25 Спасатели. Экстренный вызов.
16.55 "Большие родители". Иван Прохоров.
17.30 "Ералаш"
18.00 Док.сериал "Живая природа". "Звери: внутренний мир"
19.00 Времена
20.10 КВН-2002. Второй полуфинал.
22.25 Боевик "ОГОНЬ ИЗ ПРЕИСПОДНЕЙ"
00.30 Бокс. Оскар Де Ла Хойа - Фернандо Варгас.
01.30 Триллер "СВЯЗЬ".

### РТР

07.20 Худ. фильм "ОНИ ВСТРЕТИЛИСЬ В ПУТИ"
08.45 Сериал "Дракоша и компания"
09.10 Русское лото
10.00 "ТВ Бинго-шоу"
10.35 Местное время. Вести-Москва.
11.15 Утренняя почта
11.50 "Городок". Дайджест
12.20 Худ.фильм "ПРИШЕЛЬЦЫ-2"
14.10 Парламентский час
15.00 Вести
15.20 Вокруг света
16.15 Диалоги о животных
17.10 Моя семья
18.05 Аншлаг
19.00 Худ.фильм "МОНАХИНИ В БЕГАХ"
20.50 В "Городке"
21.00 Вести недели
22.10 Специальный корреспондент
22.35 Юморист. программа "Парад улыбок"
00.00 Церемония закрытия недели высокой моды в Москве.
01.45 Всемирный день борьбы со СПИДОМ. Гала-Концерт.
02.45 Спорт за неделю.

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"


წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.